წლიწადი მეორე   ფასი 5 კაპ.   ხუთშაბათი, 7 მკათათვე 1916 წ.   № 150

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის:
Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] კნელზე—10 კაპ. [illegible] ლებულ განცხადებათა ფასი: [illegible] ქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წლიწადი მეორე. საქართველო წლიწადი მეორე.
უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი ხანდრო შანშიაშვილი.

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია
ყოველ დღე მზადდება
საუზმე, სადილები, ვახშმები
ჩაი, ყავა, ხაჭაპური, პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით სილ. ს. გიგიბერია.

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)
ოთხშაბათს, 7 მკათათვეს, საბავშვო საღამო, ცეკვა, თამაში და საბავშვო წარმოდგენა,
დაუკრავს სამხედრო ორკესტრი. ბავშვების საღამოს ხელმძღვანელობს გ. სიმხოვიჩი.
(1—165—1) დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

ვაგზლის სამკურნალოში
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

ვამზადებთ
პირობით ხელმისაწდომ ფასებში
პრაპორშჩიკთა შკოლისათვის
მეცადინეობა დაიწყება 20 თიბათვიდან. პირადათ მოლაპარაკება საღამოს 6—7 საათამდე.
მისამართი: მოსკოვის ქუჩა, სახლი 24, ბინა 1. 25—128—22

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
ა. დ. შაჰაგაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან ხნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დ. ზესტაფონში
ექიმი
დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი
მ. ი. ვარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—3)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან იღებს მანგლისში კორპუსის ბანაკში

კბილის ექიმმა
მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნიდა დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

თბილისი, 7 მკათათვე

სიძვირესთან ბრძოლა. სიძვირე ომის განუყრელი თანმგზავრია. ომიანობისაგან გამოწვეული ეკონომიური ურთიერთობა უთუოდ სიძვირეს წარმოშობს. ასე იყო მუდამ და ამ უმაგალითო ომის დროსაც ცხოვრების გაძვირებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

სიძვირის უმთავრესი მიზეზი თვითონ წარმოების გაძვირებაა—სულ ერთია ქარხნის ნაწარმოებია ის თუ მეურნეობის ნაყოფი, რაც გამოწვეულია მუშა ხელის შემცირებით და გაძვირებით, გადატან-გადმოტანის გაძნელებით და სხ.

სიძვირის ერთ უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ვალიუტის საკითხი. საქონლის ღირებულობა ფულით გამოიხატება და თუ ფული გაიაფდება საქონლის ფასიც მატულობს. ფულის გაიაფება გამოწვეულია სახელმწიფოში უზომო ქაღალდის ფულის გამოშვებით. ქაღალდის ფულს თავის თავად არავითარი ღირებულება არ აქვს. ის თამასუქია ხაზინისა და ღირებულებაც აქვს იმდენად, რამდენადაც ეს თამასუქები ხაზინის ქონებით, ოქროს თანხით არის უზრუნველყოფილი. და როდესაც თამასუქების რიცხვი მატულობს და მისი უზრუნველმყოფი თანხა უცვლელია ან კლებულობს, ცხადია ასეთი თამასუქების ფასი დაეცემა. რუსეთში ამ ჟამად კი ოთხჯერ მეტი ქაღალდის ფული ტრიალებს, ვინემ ეს ომის დაწყებამდის იყო. ფულის ფასის დაცემის გარდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ცხოვრების გაძვირებაზედ საქონლის გადატან-გადმოტანის მეტის მეტი გაძნელება, ზოგიერთი საქონლის დასამზადებლად საჭირო მასალის სრული უქონლობა რუსეთში და აგრეთვე თვით ვაჭრების სპეკულიატური ფასების აწევა. რომ სიძვირეს დღევანდელ პირობებში მეტად ღრმა ფესვები აქვს და ნიხრითა და ადმინისტრაციული ზომებით მისი მოსპობა არ შეიძლება, იქიდანაც სჩანს, რომ ზოგიერთ დიდ ქალაქებში თვითონ ქალაქის გამგეობებმა მოაწყვეს უსაჭიროეს სანოვაგის ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ არსებული ფასების მნიშვნელოვანი შემცირება ვერ მოახერხეს. არც რუსეთის სხვა და სხვა კუთხეებში მომხდარმა სავაჭროების დარბევამ გამოიღო რაიმე ნაყოფი... ბევრს ეგონა, მოვაჭრეთა დაშინებით საქმე გამოკეთდებოდა და უსაჭიროეს საგნებზედ მაინც სიძვირე მოიკლებდა.

ასეთი ზომები და ასეთი სახით ბრძოლა სიძვირესთან არავითარ თვალსაჩინო ნაყოფს არ გამოიღებს და მთავრობა და საზოგადოებაც მოვალენი არიან უფრო სერიოზული ზომები მიიღონ, თორემ რუსეთის ცხოვრება სრულს დეზორგანიზაციას და არევ-დარევას განიცდის, და მას შესაძლოა სახიფათო შედეგი მოჰყვეს.

ეხლა ყველა მებრძოლ და არა მებრძოლ სახელმწიფოებშიაც კი ფეხს იდგამს სიძვირე. მაგრამ იქ მის წინააღმდეგ სულ სხვა ზომებს ღებულობენ. თუ რომელიმე საქონელი შემცირდება და ამის გამო ბაზარზედ მის გარშემო სპეკულიაცია იწყება, მთავრობა და საზოგადოება სცდილობენ ამ საქონლის წარმოშობის პირობები გაადვილონ, ახალი წარმოებანი შექმნან, გადაზიდვის პირობები გააუმჯობესონ და სხ. ასეთი საშუალებებით ისინი ახერხებენ გაძვირებული საქონლის გაიაფებას. წარმოებების გაფართოება, შემცირებულ ნივთიერებათა საერთო ძალით მოპოება და შეძენა, გადაზიდვის პირობების გაუმჯობესება და ფულის ფასის დაცემის წინააღმდეგ ზომების მიღება—ერთი სიტყვით ორგანიზაცია წარმოების, ალებ-მიცემობისა—აი ის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი იარაღი, რომლითაც ებრძვიან სიძვირეს ევროპიულ სახელმწიფოებში —ინგლისში, გერმანეთში თუ საფრანგეთში. ასეთი ბრძოლა იქ ნაყოფს იძლევა.

ჩვენ-კი ამას ვერ ვახერხებთ. ეკონომიური ცხოვრების არევ-დარევის წინააღმდეგ ვერავითარ ზომებს ვერ ვღებულობთ, ნიხრი და დარბევა კი მიზანს ვერ აღწევს და სიძვირე დღითიდღე იზრდება.

ჭიათურის საკითხი

ჩვენ რამოდენიმეჯერ აღვნიშნავს, რომ ჭიათურის გერმანელ ქვეშევრდომთა წარმოებების ლიკვიდაციის წესი, იმ სახით, როგორც ეს შეიმუშავეს ბათუმის, თბილისის, ქუთაისის და ფოთის მოქალაქეთა და ინტელიგენციის კრებებმა, სავსებით ეთანხმება იმ მიზნებს, რომელსაც ისახავს რუსეთის მთავრობა გერმანელთა ქონების ლიკვიდაციის საკითხში.

ჭიათურის წარმოებათა გადაცემა არა კერძო პირებზე, ანუ აქციონერულ საზოგადოებაზე, რომელთაც ადვილად შეუძლიანთ ეს ქონება ისევ გერმანელებს გადასცენ, არამედ თვით ჭიათურის მრეწველებზე მათი საბჭოს სახით—აი ამ წარმოებათა ლიკვიდაციის წესი და ფორმა, რომელიც სავსებით ეთანხმება სახელმწიფოსა, რუსეთის მრეწველობისა და თვით ადგილობრივი საზოგადოებების ინტერესებს.

ეს წარმოებანი უნდა გადაეცეს ჭიათურის საბჭოს არა შეჯიბრების წესით, არამედ განსაზღვრულ და გადაჭრილ ფასებში, რომელიც შემუშავებული იქმნება ამ წარმოებებზე დახარჯულ კაპიტალის მიხედვით. თვით ეს წესი ვაჭრობისა აგრეთვე დამყარებულია რუსეთის მრეწველობის ინტერესებზე. რომ ეს წარმოებები გაიყიდოს ნაცვლად 3—4 მილიონისა, რადაც ეს ქონება დაუჯდათ მათს პატრონებს, ვთქვათ 20—25 მილიონად, ამით მოიგებენ მხოლოდ გერმანელი მწარმოებელნი, რომელთა ჯიბეში ჩავა ეს ფული და დაზარალდება რუსეთის მეტალურგიული მრეწველობა.

ყოველივე ეს გარეშე პირობებია, ჩვენი განზრახვებისთვის ფრიად ხელსაყრელი და სასარგებლო. მაგრამ როდესაც საკითხის შინაურ პირობებს შევეხებით, კითხვა დაგვებადება—შესძლებს კი ჭიათურის მრეწველთა საბჭო თავად-აზნაურობის დახმარებით ამ მამულების შეძენას? ექნება მას ამის საშუალება, სახსარი, უფლება?

თუ ამ წარმოებებზე გადაჭრილი ფასები დაწესდა, რის იმედიც სავსებით უნდა გვქონდეს, ვინაიდან ამას, როგორც ზევით დავინახეთ, მთავრობას უკარნახებს თვით მისი საკუთარი ინტერესები, ამ სიმდიდრის შესაძენად ორი-სამი მილიონი თუ იქნება საჭირო. ისიც არა დღეს, არა მოკლე ხანში, არამედ უფრო გვიან. ეს ფული ხომ გერმანელ მესაკუთრეებს უნდა გადაეცეს ომის გათავების შემდეგ. მაშასადამე საბჭო თავად-აზნაურობის დახმარებით რომ ამ ლიკვიდაციაში მეტოქედ გამოვიდეს, მას ამისთვის ამ ჟამად ფული არ მოეთხოვება. მხოლოდ, თუ საკითხი საბჭოს სასარგებლოდ გადაწყდა და დაადგინეს ამ წარმოებების მისთვის გადაცემა განსაზღვრულ ფასებში, ამის შემდეგ საჭირო თანხის შოვნა ძნელი არ იქმნება. კერძო პირებს თუ აძლევენ ბანკები ათას და თორმეტ მილიონს ამ ქონების შესაძენად, რად არ მისცემენ ამის ნახევარს მთელ ჭიათურის მრეწველობას. ბანკის ვალი სავსებით უზრუნველყოფილი იქმნება თვით ამ წარმოებათა შემოსავლით და აგრეთვე, თუ ეს საჭირო იქმნა, თვით საბჭოს ბიუჯეტით, რომელიც წლიურად მილიონნახევარს უდრის და მომავალში დღითი დღე მოიმატებს. ასე რომ ამ დიდს საქმეში ჭიათურის საბჭოს **სახსრის მხრივ არაფერი სიძნელე და დაბრკოლება არ შეხვდება.**

აქვს კი უფლება ჭიათურის მრეწველებს, რომ ეს წარმოებანი შეიძინონ? მას ამის უფლება არ აქვსო, გაიგონებთ საზოგადოებაში და ასეთივე აზრი გამოთქმულა პრესაშიაც. ჭიათურის მრეწველთა საბჭო სავაჭრო დაწესებულება არ არისო, ასაბუთებენ ისინი თავის აზრს. რასაკვირველია ეს მოსაზრება სრულიად უსაფუძვლოა.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველებს საკუთარი ორგანიზაცია აქვთ—შორაპნის შავი ქვის მრეწველთა საბჭო, ისევე როგორც ბაქოს ნავთის მწარმოებელთ. ეს ორგანიზაციები დაარსებულია სახელმწიფოებრივი ძალის დასტურით და რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობით იურიდიული პიროვნების სრულის უფლებით არიან აღჭურვილი. ვერც სამოქალაქო დებულებასა, სამთო კანონებსა (ტ. VII რუს. კან.) ანუ სხვა რომელიმე სპეციალ კანონმდებლობაში ჩვენ ვერ ვიპოვით რაიმე ისეთს დადგენილებას, რომელიც უნდა უკრძალავდეს ამ ორგანოებს ქონების ყიდვა-გაყიდვას. მართალია, შორაპნის მარგანეცის მრეწველთა საბჭოს დებულების (1896 წ და 1903 წ. ცვლილებებით) 30 პარაგრაფი საბჭოს მიერ უძრავი ქონების შეძენის დროს სამინისტროს ნებართვას მოითხოვს, მაგრამ ეს შეეხება წესს, და რიგს შეძენისას და საკუთრების მოპოვების საქმეში საბჭოს უფლებებს, რასაკვირველია, სრულიად არ ზღუდავს.

მრეწველთა საბჭოს დებულების 1 და მე-3 პუნქტის ძალით საბჭოს შეუძლიან სხვა და სხვა ღონისძიებანი გამოსძებნოს და იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე „შავი ქვის საბჭოს ყოველგვარ საჭიროებებზედ“. ამ მუხლის ძალით საბჭოს შეუძლიან თავისი სამოქმედო რაიონში სკოლები გახსნას, ააშენოს საავადმყოფოები, გაიყვანოს გზები და სხ. ასევე და კიდევ მეტის უფლებებითაც შეუძლიან მას ჭიათურის მრეწველთა საჭიროებებისათვის ააგოს შავი ქვის სარეცხი ქარხნები, ქვის ჩამოსაშვები მოწყობილებანი და სხ. ამავე უფლებით შეუძლიან საბჭოს სხვისგან შეიძინოს უკვე მოწყობილი სარეცხი თუ სხვა გვარის ქარხნები, მანქანები თუ მადნიანი მიწები. როგორც საბჭოს მიერ გამართული მანქანები გაუადვილებენ წვრილ მრეწველებს მადნის ჩამოზიდვას, ისე გერმანელების საუცხოვო სარეცხი ქარხნების შეძენით საბჭო საშუალებას მისცემს წვრილ მრეწველთ ამ ქარხნებში გარეცხონ ქვა, რომ გაწმენდილი მადანი გაყიდონ ადგილობრივ, ან პირდაპირ საზღვარ გარედ გაგზავნონ. სწორედ ის შავი ქვის მრეწველობის საერთო საჭიროებებზე ზრუნვა, რომელიც ევალება მრეწველთა საბჭოს მოითხოვს, რომ ეს საუცხოვოდ მოწყობილი წარმოებები გადაეცეს თვით ჭიათურის მრეწველებს თავის სამრეწველო საჭიროებებისთვის და როდესაც ამის შესახებ თვით საბჭო აღძრავს კითხვას, მისი განზრახვანი სავსებით დამყარებული იქმნება იმ იურიდიულ უფლებებზედ, რომელიც საბჭოს აქვს მინიჭებული.

სხვა საკითხია, როგორ უნდა გამოიყენონ ჭიათურის მრეწველებმა ეს წარმოება, თუ კი მათ მისი შეძენა მოახერხეს. გასცემენ მადნიან მიწებს იჯარით და სარეცხ მანქანებს წვრილი მრეწველების საჭიროებებისთვის აწარმოებენ და თავს მიანებებენ მადნის ამოღებას და მის უცხოეთში გაგზავნას, თუ ამ წარმოებებს სხვა სახით გამოიყენებენ, ეს თვით მრეწველების საჭიროებებზედ, სურვილზედ და გადაწყვეტილებაზედ არის დამოკიდებული. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ წარმოების შეძენის სურვილს მრეწველთა საბჭო თვით ჭიათურის მრეწველების დიდი უმრავლესობის—**წვრილი მრეწველების უაღრეს საჭიროებებით ნათლად დაასაბუთებს** და ამ წარმოებათა აღებაში მას არავითარი **იურიდიული დაბრკოლება არ შეხვდება.**

ზოგი კიდევ ამ საკითხში ზნეობრივ დაბრკოლებებს ჰხედავს. ჭიათურის საბჭო ამორჩეულია ყველა მრეწველებიდან, ის ყველა შავი ქვის მწარმოებელთა საერთო ორგანო არის და როგორ შეიძლება იგი იმ ქონებას დაისაკუთროს, რომელსაც თვით საბჭოს რომელიმე წევრს ჩამოართმევენ. საზოგადოდ, ზნეობრივი მოტივებით არ ხელმძღვანელობენ იქ, სადაც რეალურ ინტერესთა შეხლა შემოხლა სუფევს და ეს ინტერესები კანონს და უფლებას ემყარება, მით უმეტეს კომერციულ საქმეში, მაგრამ ეს საკითხი ამ თვალსაზრისიდაც რომ განვიხილოთ, საბჭოს განზრახვებს მით წუნი არ დაედება. ყოველს საამხანაგო საქმეში ერთი წევრი რომ ამხანაგობას გამოაკლდება, დანარჩენ წევრებს უპირატესობა ენიჭებათ მისი ნაწილის შეძენაში გარეშე პირებთან შედარებით და ეს წესი, თვით კანონითაც დადასტურებული, ზნეობის საწინააღმდეგოდ სრულიად არ უნდა ჩაითვალოს.

და სწორედ მით უფრო არის მტკიცე და საიმედო მრეწველთა საბჭოს პოზიცია ჭიათურის გერმანელთა წარმოების ლიკვიდაციის საქმეში, რომ ამ კონკურენტს მხარს უჭერს სახელმწიფოს და რუსეთის მრეწველობის ინტერესები და ყოველგვარ იურიდიულმორალურ უფლებებით აღჭურვილს ზურგს უმაგრებს საზოგადოებრივი აზრი და სურვილები.

ალ. ასათიანი.

ექიმთ 10 სტიპენდია

(დასასრული)

ბ. სტრელეცკი ყურ-მოჭრილი ყმა იყო იანოვსკისა; მაგრეივად არც ამას ეპაშნიკებოდა „ტუზემცები“ და ცხადია, უკანასკნელის სურვილს გულმოდგინებით შეასრულებდა.

ქართველების რიცხვმა ინსტიტუტში მალე შესამჩნევად იკლო და, როგორც ისმის, ეხლა თითქმის სულ ილევა.

უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, რომელიც საკმაოდ ამზადებს ყმაწვილს ინსტიტუტში შესასვლელად, დღეს მოიპოვება არამც თუ ყველა მაზრის ქალაქში, არამედ ზოგიერთ დაბა-სოფლებშიაც. ამიტომ გამოცდების დროს, აგვისტოს გასულებში, საქართველოს ყველა მხრიდან დიდძალი ქართველი ახალგაზდობა აწყდებოდა თბილისის სასტატო ინსტიტუტს. მიუხედავად მკაცრი და სასტიკი პირობებისა, მაინც საკმაო რიცხვი ქართველ ყმაწვილებისა მშვიდობით იხსნიდა ხოლმე თავს გამოცდის ქარ-ცეცხლისაგან. ეს მოვლენა იანოვსკის და სტრელეცკის ძარღვებს უშლიდა, ძილს უფრთხობდა.

რომ გულის სიმშვიდე მოეპოვებინათ, გამოიგონეს ახალი რეცეპტი: ინსტიტუტში უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელში კურს დამთავრებულების მიღება მოსპეს და მათ მაგიერ სოფლის მასწავლებლად ნამყოფ პირების მიღება დააწესეს. ეს წესი აცნობეს შიდა რუსეთის დირექციებს და იქიდან იწყეს დენა აუარებელმა სოფლის რუს მასწავლებლებმა.

ამათ კონკურენცია ვერ გაუწიეს ჩვენებმა ვერც რიცხვით, ვერც „აქციებით“ და აკი ამიტომ დარჩნენ დღეს გარიყულნი.

რა მოუვიდა ქართველებისთვის დაარსებულს ათ სტიპენდიას? როგორ მიჩქმალეს, როგორ გადაყლაპეს როგორ გააუქმეს ეს ქართველების სტიპენდიები—მე, რასაკვირველია, არ ვიცი; მხოლოდ ეს-კი ცხადია, რომ უგულო მოხელეები, უეჭველია, თავის გასამართლებლად იტყვიან: სტიპენდიები სხვას გადავეცით, რადგან ქართველები ინსტიტუტში აღარ შემოდიანო“.

ჩვენ კი გვგონია, რომ ამ სტიპენდიების სხვაზედ გადაცემა არავის არ შეუძლიან, გარდა პატრონისა და მათი პატრონი კიდევ მხოლოდ ქართველი თავად-აზნაურობაა. ვის შეუძლიან უჩემოდ ჩემი ჩოხა სხვას უფეშქაშოს? ხელმწიფე იმპერატორმა წყალობა მოსცა ქართველ თავად-აზნაურობას და ეს წყალობა ვიღაც მოხელეებს სხვაზედ გადააქვთ! სად გაგონილა ასეთი უკანონობა?

მაგრამ მოგეხსენებათ: უპატრონო საყდარს ეშმაკი დაეპატრონებაო“.

ამ სტიპენდიებისთვისაც, რომ თავის პატრონს, ე. ი. ქართველ თავად-აზნაურობას მზრუნველობა გაეწია, ხომ არც ეს დღე დაადგებოდა.

ბატონებო, თუ მართლა იმპერატორმა ალექსანდრე მე-II ქართველ თავად-აზნაურთა შვილთათვის საოსტატო ინსტიტუტში დააწესა ათი სტიპენდია ამ მოწყალების დოკუმენტები და კვალი სად უნდა მოიძებნებოდეს, უფრო-კი, ჩვენის აზრით, დეპუტატთა საკრებულოში.

ქართველ თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი ვალდებულნი არიან აღადგინონ ეს ათი სტიპენდია.

თუ მართლა ინსტიტუტში შესვლის მსურველნი ქართველებში აღარავინ არის, მაშინ თავად-აზნაურობამ შუამდგომლობა უნდა აღძრას ამ სტიპენდიების სხვა სასწავლებლებში გადატანისთვის.

ალ. მირიანაშვილი.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

დღეს ყველა დაინტერესებულია იმ საკითხით, თუ რას ჰფიქრობს ან რანაირ გეგმას დაადგება გერმანეთი. ყველა ცდილობს გამოიცნოს, თუ რომელ მხარეს შეუდგება გადამწყვეტ ბრძოლის წარმოებას, საფრანგეთში თუ რუსეთის ასპარეზზე. თუ დავაკვირდებით მათ მდგომარეობას შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ მათი ყურადღება ძალაუნებურად მიქცეული უნდა იყვეს სწორედ აღმოსავლეთ ბრძოლის ველისაკენ. რუსეთის მხედრობამ გარდა იმისა, რომ აუარებელი ზარალი მიაყენა, ისეთი სიმაგრეები იგდო ხელში, უფრო კი კოველ-ვოლინ-სოკალის მიმართულებით, რომ მარტო თავდაცვა, გინდა აქტიურიც, მათ ხიფათისაგან ვერ იხსნის და ერთს მშვენიერს დღეს ადვილად შესაძლებელია კოველსაც და ვოლინსაც დაეპატრონონ. ეს კი მეტად დიდი მარცხი იქნება გერმანელების. ამასთანავე, როგორც უკანასკნელი ოფიციალი დეპეშები იტყობინებიან, მათ ძლიერ მოუხშირებიათ ჰაეროპლანებით მოქმედება. მთელი ფლოტილია მფრინავი მანქანებისა თავს დასტრიალებს სხვა და სხვა ალაგებს. ცხადია მტერი ჰზვერავს სად რამდენი ჯარი უყენია რუსეთს და ამისდა მიხედვით შეადგენს თავის სამოქმედო გეგმას. თუ კერძო ცნობებსაც დაუჯერებთ, დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ გერმანელები აუარებელ ჯარებს აგროვებენ აღმოსავლეთის ასპარეზზე, მაშინ უეჭველია ჩვენ ძალიან მალე გავხდებით მოწმენი დიდი გადამწყვეტი ბრძოლისა მთელ რუსეთის ხაზზე.

გუშინდელი ოფიციალი დეპეშა კვლავ გენერალ სახაროვის გამარჯვებას ადასტურებს: ამ მებრძოლ გენერალს სრულიად გაუწმენდია მდ. ლიპის ნაპირები და გერმანელები სოფ. კრასოვ და ზვინიაჩესკენ გადაურეკია. დანარჩენ ადგილებიდან არაფერი ცნობა არ მოსულა. საერთოდ მთელ ფრონტზე ბრძოლა თითქოს განელდა. ეტყობა ორივე მხარე ღონეს იკრებს და მთავარ გადამწყვეტ ბრძოლისათვის ემზადებიან კავკასიის ბრძოლის ველზე რუსები წინ სვლას განაგრძობენ.

X.

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი, 5 მკათათვე. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. რიგის სიმაგრეებთან საარტილერიო ბრძოლაა. გერმანელები ამაოდ სცდილობენ დაკარგული სიმაგრენი დაიბრუნონ. როგორც გუშინდელ ცნობებიდან სჩანს ვოლინის ბრძოლის ხაზზე გენ. სახაროვის ჯარმა ტყვედ წამოიყვანა 13,000 კაცი და 30 ზარბაზანი. ეხლა ამ მიდამოებში მდ. ლიპის მარცხენა ნაპირი ჩვენმა ჯარმა გასწმინდა მტრისაგან, რომელიც მდინარის გაღმა გადავიდა და ს. ზვინიჩესთან და ბრასოვთან მაგრდება. გზა და გზა მტერი დიდძალ საომარ მასალას სტოვებს. ეს იმას მოწმობს, რომ იგი უწესრიგოდ იხევს უკან. ცნობა მოვიდა, რომ მტრის 17 ზარბაზანი, რომელიც გუშინ ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდო, მისსავე თხრილებს ყუმბარებს უშენს. ტყვე გერმანელებს სხვა და სხვა გვარი ტანისამოსი აცვიათ, რაიცა მოწმობს, რომ ბრძოლაში შერეული ჯარი იღებდა მონაწილეობას.

კავკასიის ასპარეზი. კავკასიის ჯარის მარჯვენა ფრთა წინ სვლას განაგრძობს. 4 მკათათვეს ჩვენმა პლასტუნებმა რამდენიმე თხრილი აიღეს და მტერი გაჰფანტეს. ზოგ ადგილას ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა მთების თოვლიანი მწვერვალები გადალახა. მეჯიდგადის მიდამოებში ჩვენ ტყვეები წამოვიყვანეთ და 2 ტყვიის მფრქვეველი და ბევრი იარაღი ვიგდეთ ხელთ. პონტიის თავრის ბრძოლის ხაზზე ჩვენმა ჯარმა ოსმალთა ჯარის მთელი როტა ტყვედ წამოიყვანა. 2 მკათათვეს, ქ. ბეიბურთის იერიშების დროს ჩვენ ოსმალებს დროშა წავართვით.

პეტროგრადი, 5 მკათათვე, ოფიციალი. კავკასიის ასპარეზი. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა კვლავ წინ წაიწია და 34 აფიცერი, 608 ასკერი და 2 ტყვიისმფრქვეველი იგდო ხელთ. დამატებით მოსულ ცნობის თანახმად ბაიბურთის აღების დროს ოსმალთა დროშა კავკასიის მსროლელთა ჯარის პოლკის ჯარისკაცმა ნიკოლოოზ ბრუნნეკომ მოიტაცა.

პარიზი, 4 მკათათვე, ოფიციალი. მაასის მარჯვენა ნაპირზე სუვილის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ფლერის მახლობლად 3 მკათათვეს ჩვენმა ჯარმა 200-დის ტყვე წამოიყვანა. დანარჩენ ადგილებში სიმშვიდეა.

ლონდონი, 5 მკათათვე. ოფიციალი. საფრანგეთის ასპარეზი. გუშინ 1 საათსა და 15 წ. ჩვენმა ჯარმა 1400 მეტრის სივრცეზე მტრის მეორე ხაზის სიმაგრეები აიღო. აქ გერმანელ ჯარის დახოცილთა რიცხვი მოწმობს, რომ მტერს დიდი ზიანი მივაყენეთ. ოვილიერის და ლაბუსელს მიდამოებში ჩვენმა გვარდიამ 2 აფიცერი და 124 ჯარისკაცი ტყვედ წამოიყვანა. ამ ჟამად მთელი სოფელი ვატერლოოსი ჩვენს ხელშია. აქ ჩვენ ხელში ჩაგვივარდა სამი საინტერესო ოფიციალი ქაღალდი, რომელშიაც დაწვრილებით არის აწერილი გერმანელთა დანაკლისი.

ლონდონი, 5 მკათათვე. ოფიციალი. საფრანგეთის ასპარეზი. განუწყვეტელი წვიმა და ნისლი ჩვენს მოქმედებას ხელს უშლის. დღეს მთელს ასპარეზზე შესანიშნავი არა მომხდარა. 13 თიბათვიდან საერთო რიცხვი ტყვედ წამოყვანილ გერმანელთა უდრის: 189 აფიცერი და 10,779 ჯარისკაცი. ამას გარდა ჩვენ ხელთ ვიგდეთ: მრავალი ზარბაზანი, სასროლი მასალა და 66 ტყვიისმფრქვეველი.

რომი, 5 მკათათვე. ოფიციალი. პოზინის მიდამოებში მტერი სცდილობს ჩვენი წინსვლა შეაჩეროს და არტილერიის დახმარებით ჩვენს სიმაგრეებზე კონტრ-იერიშები მოაქვს. ჩვენც იერიშებით ვეკვეთენით მტერს, რომელიც მთელ ასპარეზზე უკან იხევს. ტობოსთან ჩვენ მტრის იერიში მოვიგერიეთ. ფოლგარიის მიდამოეში 2 მკათათვეს მტრის მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს. საზოგადოდ კამონინოს და აჯიდეს ბრძოლის ხაზზე მტრის მფრინავები ყუმბარებს ისვრიან, მაგრამ ჩვენთვის არავითარი ზარალი არ მოუყენებიათ. ჩვენ ზარბაზნებს უშენდით მათს მფრინავებს და რამდენიმე მათგანი ძირს ჩამოვაგდეთ. წარსულ ღამეს მტრის რამდენიმე მფრინავმა ტრევიზოს ყუმბარები დაუშინა: მოკლულია ერთი და დაჭრილია რამდენიმე კაცი. ერთს მფრინავს სროლა აუტეხეთ და ძირს ჩამოვაგდეთ.

კოპენჰაგენი, 4 მკათათვე. ბალტიის ზღვაში გერმანელებმა დაატყვევეს და სვინემონდოში გაჰგზავნეს დანეთის სავაჭრო გემი „ხორბია“, რომელიც ქაღალდით იყო დატვირთული.

მეჩნიკოვის გარდაცვალების გამო გაზეთები დიდს მწუხარებას გამოსთქვამენ.

სტოკჰოლმი, 5 მკათათვე. გერმანელების წყალქვეშა ნავებმა დაატყვევეს და სვინემონდოში გაჰგზავნეს შვედელების 3 გემი.

ლონდონი, 4 მკათათვე. ხმა დადის რომ ფინანსთა მინისტრი ბარკი მეფემ მიიღო და ესაუბრაო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ოსმალეთის და სპარსეთის უთანხმოება.

სპარსეთის მთავრობას კონსტანტინოპოლში მყოფ თავის ელჩისთვის დაუვალებია, ენერგიული პროტესტი გამოუცხადოს ოსმალეთს, რომელიც მიუხედავად თავის დაპირებისა, სპარსეთის მიწა-წყალზე თარეშს და ათასგვარ უკანონობის ჩადენას განაგრძობს. თუ ოსმალეთის მთავრობა ამ განცხადებას არც ეხლა მიაქცევს ყურადღებას და ძველებურად მხოლოდ დაპირებით დაკმაყოფილდება, სპარსეთი იძულებული იქნება ამ მოკლე ხანში მას ომი გამოუცხადოსო.

ავსტრიელთა ჯარის მდგომარეობა გალიციაში.

როგორც ბუქარესტიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს ამ ბოლო დროის ბრძოლებში იტალიელთა ასპარეზზე ავსტრიელებს 600,000 კაცი დაუკარგავთ. რუსეთის ასპარეზზე თიბათვის განმავლობაში მარტო დახოცილთა რიცხვი 100,000 უდრის. ეს ცნობა თუ სიმართლეს შეესაბამება ავსტრიელთა ჯარს გალიციაში და ბუკოვინაში ძალიან გაუჭირდება მოქმედება, თუ გერმანელებმა დროზე ჯარი და საომარი მასალა არ მიაწოდეს.

ავსტრია და ბულგარეთი.

რადგან ავსტრიელებს რუსეთის ასპარეზზე დიდძალი ჯარი სჭირდებათ, ამიტომ მათ ამ ბოლო დროს ოსმალეთს და ბულგარეთს მაშველი ჯარი სთხოვეს. ამბობენ, რომ ამ მოკლე ხანში ბულგარეთი რუსეთის საზღვრებისაკენ ჯარს ჰგზავნის, მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთის შტაბის უფროსი ჟეკოვი დიდად ეწინააღმდეგება თავის მთავრობის ამ განზრახვას.

რუმინეთი და მეომარი სახელმწიფონი.

თითქმის მთელ რუმინეთში საშინელი გვალვაა. ამან ახალი მოსავალი მთლად მოტუსა. ამ ბოლო დღეებში ამას ზედ მოჰყვა საშინელი სეტყვა, რომელმაც სულ მთლად მიწასთან გაასწორა მთელი წლის მოსავალი. ამიტომ ცენტრალურ საექსპორტო კომისიამ გადასწყვიტა—რუმინეთიდან სხვა სახელმწიფოებში პურისა, სიმინდისა და ლობიოს გატანა აღკრძალოს.

კოველი და გერმანელ-ავსტრიელთა მზადება.

გერმანელები და ავსტრიელები კოველის გარშემო დიდძალ ჯარს უყრიან თავს. ინგლისურ გაზეთების ცნობით ავსტრიელებს იტალიის ასპარეზიდან უკვე რამდენიმე კორპუსი გადმოუყვანიათ. გერმანელებსაც ახალ-ახალი ჯარი გადმოჰყავთ საფრანგეთის ასპარეზიდან. მაგალითად დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პრუსიის მეათე კორპუსი, რომელიც რეიმსის მიდამოებში მოქმედებდა და მეხუთე ბავარიის კორპუსი რომელიც არრასთან იყო დაბანაკებული, ეხლა კოველის ციხესა და მის სიმაგრეების დასაცავად არიან გამზადებულნი. გერმანელების ჯარში ხმა დადის, ვითომც იმპერატორ ვილჰელმს [illegible] კოველის ციხესთან 7 კორპუსი [illegible] და რადაც უნდა დაუჯდეს ქ. ლუცკი უკან დაიბრუნოს. მაგრამ ჯერ-ჯერობით მდ. სტოხოდის ნაპირებზე გამწვავებულ ბრძოლის ბედი უნდა გადასწყდეს და შემდეგ კოველისა. სტოხოდთან კი გერმანელები დიდს წინააღმდეგობას უწევენ რუსებს და ამ ბოლო დროს მისი მარჯვენა ნაპირიც კი ხელთ იგდეს.

გერმანელების ახალი პროექტი.

მიუნხენში გამართულ კონგრესზე პროფესორ ედვეინმა დამსწრეთ თავის ახალი პროექტი განუმარტა. პროექტის ავტორის აზრით, რადგან ინგლისის ფლოტი გერმანეთის სავაჭრო გემებს ზღვაზე სიარულს ხელს უშლის, ამიტომ საჭიროა როგორც გერმანელთა ისე ავსტრიელთა მიწა-წყალზე უამრავი არხები გავიყვანოთო. ეს არხები შეაერთებენ ყველა იმ მდინარეთ, რომელნიც ზღვას უერთდებიან და ამგვარად გერმანეთის ვაჭრობას ხელს ვეღარ შეუშლის ვერც ინგლისის ფლოტის სიძლიერე და ვერც მისი მუქარაო.

არხების შემწეობით პროფესორის აზრით შესაძლებელია შეერთდეს: 1) მდინარე რეინი და ვისლა ე. ი. მიმოსვლა ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვების შუა. 2) მდინარე დუნაი და ოდერი რომელიც შავს ზღვასა და ბალტიის ზღვას შეაერთებს. 3) მდინარე რეინი და დუნაი და სხვა მრავალი მდინარენი, რომელთა არხებით შეერთებაც გერმანეთის საზღვაო ვაჭრობას ნეიტრალ სახელმწიფოებთან გააცხოველებს და ხელს შეუწყობს.

გერმანელების ახალი საომარი საშუალება.

რუსეთის ასპარეზზე ს. ბერტნიკის იერიშების დროს გერმანელებმა რუსის ჯარს რაღაც სითხე შეასხეს, რომელიც ერთ წამს ენთება და სთუთქავს ადამიანის სხეულს. ეს სითხე რამდენიმე ადლის სიშორეზე ისვრის ცეცხლს, რომელიც ვერავითარ საშუალებით ვერა ჰქრება. თუ ეს სითხე ადამიანის ტანისამოს მოხვდა იმ წამსვე ცეცხლად ენთება და ცოცხლად სწვავს.

გერმანელთა წყალქვეშა ნავი ამერიკაში.

გერმანეთის ერთმა წყალქვეშა ნავმა გაარღვია მოკავშირეთა ბლოკადა და ქ. ბალტიმორში მივიდა. ნავი დატვირთული აღმოჩნდა სხვა და სხვა საქონლით. ამავე ნავს, როგორც გაზეთები ამბობენ პრეზიდენტ ვილსონისათვის ვილჰელმის წერილი მოუტანია.

საფრანგეთის ასპარეზი.

ვერდენთან გერმანელებმა 26 თიბათვიდან ფრანგების სიმაგრეებს ძლიერი სროლა აუტეხეს. შატანკურების მიდამოებში გერმანელების მზვერავი რაზმები გამოჩნდნენ. 28 თიბათვეს

რუსთაველი

(შემდეგი. იხ. „საქ.“ № 149)

აგრეთვე უნდა ითქვას არაბეთზე. ვიმეორებ, რუსთაველს გეოგრაფიული არაბეთი არა აქვს მხედველობაში, რადგანაც არაბეთში არასოდეს არ ყოფილა მაგალითი, რომ დედა-კაცი ყოფილიყოს იქ მეფედ და წინასწარმეტყველის საქალიფატო მემკვიდრედ. თვითონ ავთანდილი ამბობს, ხუმრობით კი არა, ამბობს თავის ანდერძში და უგზავნის ამ ანდერძს როსტევან მეფეს.

წაგიკითხავ, სიყვარულსა
მოციქულნი რაგვარ სწერენ,
ვით იტყვიან, ვით აქებენ,
სცან, ცნობანი მიაფერენ“…

მეცა ვთხოვ ჩემს მოკამათეს სცნოს და ცნობა მიაფეროს, რომ ავთანდილს როსტევან მეფის დასაჯერებლად და დასარწმუნებლად ალი-ბაბა და შახხუსეინ კი არ მოუყვანია, არც მაჰომედი და მისი ყურანი, არამედ მოციქულნი, ქრისტეს მოციქულნი!

რუსთაველის გონება მიქცეულია მხოლოდ ადამიანზე, მის ხასიათზე და ზნეობრივ განცდაზე.

ქვეყნებს და ეროვნებას მისთვის მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ უმართებულოა ის საყვედურიც, რომ ვითომდა მე ვამტკიცებდე ავთანდილის ან ტარიელის ქართველობას. მე ეს აზრი არასოდეს არ გამომითქვამს და არც ვიტყვი. თუ რუსთაველისათვის არ არსებობს სხვა და სხვა ქვეყნების საზღვრები, აშკარაა, არ არსებობს მისთვის არც საქართველოს საზღვარი. მისი მხატვრობა მსოფლიო ხასიათისაა. მისი გმირები განყენებულნი არიან, მარა ეს განყენებულობა ისეთია, რომ იგი წარმოადგენს უაღრეს რეალობას. მისი გმირები ასეა დახატული და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისეა გამჭვირვალი, რომ საიდანაც არ შეხედოთ, ჩინეთიდან, თუ საფრანგეთიდან, აშკარად დაინახავთ არა მარტო მათ მოხაზულობას, არამედ მათს გულის ძგერას, სულის კვეთებას, ზნეობრივ განცდას... და ეს განცდა **უაღრესად კაცობრივია.**

III

რწმენა და არა კულტი.

ეხლა, ჩემო კარგო მოკამათევ, წამობრძანდით მესამე მწვერვალოზე: იქიდან დავინახავთ, თუ საკმარისი გამჭრიახობა გვაქვს თვალისა და გონებისა, ერთს საყოველთაო მოვლენას: რელიგიას, როგორც სულიერ განცდას.

ლოცულობს ყველა: ქრისტიანე, მაჰმადიანი, ებრაელი, ბუდდისტი, კერპთიყვანისმცემელი და სხვანი.

საერთო იმათ შორის არის მხოლოდ ერთი და იგივე პსიხოლოგიური განცდა, ფორმა და გარეგან გამოხატულება ამ განცდისა ყველას თავისი აქვს და თავისებური. კულტი მრავალია, რელიგია, როგორც სულიერი განცდა, თითქმის ყველგან ერთი და იგივეა: ყველას სწამს ღმერთი, როგორც უზენაესი ძალა, და ყველა იმის წინ მუხლს იდრეკს.

ბუმბერაზი რუსთაველიც დაჰყურებს ქვეყნიერობას და ჰხედავს მხოლოდ ამ საყოველთაო საკაცობრიო განცდას. მისთვის კულტი არ არსებობს. მისთვის არსებობს მხოლოდ რელიგიური სულის ლტოლვილება, მხოლოდ სარწმუნოებრივი სულის კვეთება, ხოლო როგორ, სად და რა გარეგნულ გამოხატულებაში ყალიბდება ეს სულის კვეთება და ლტოლვილება—ეს მისთვის სულ ერთია, ამას იგი ყურადღებას სულ არ აქცევს.

მოვიყვანოთ ორი მაგალითი: ავთანდილის ლოცვა (XXII) და ფიცი ტარიელისა (XIII, 5!4), რომელზედაც გვითითებს ბ. მირიანაშვილი.

ავთანდილის ლოცვა იწყება პირდაპირ—„ილოცავს, იტყვის“ და მერე მოყვანილია გასაოცარი თავის სიღრმით და სარწმუნოებრივი აღმაფრენით ლოცვა, რომლის ბადალი არ მოიპოვება საღმრთო წერილში და მსოფლიო ლიტერატურაშიაც. ეს ლოცვა იწყება და თავდება ისე, რომ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი მაზე, **სად** და როგორ ილოცა ავთანდილმა, რა კულტის ან რა სჯულის იყო ლოცვის გარეგანი გამოხატულობა... მართლადაც სულ ერთი არ არის სად ილოცა? შინ თუ გარედ, ხის ძირად თუ ტყეში—ყველგან შეეძლო ელოცა.

ბ. მირიანაშვილი კი ბრძანებს, რომ ავთანდილს შინ არ ულოცნიაო, „სადაც შერმადინი ახლდაო; ულოცნია სხვაგან და არა შინ, შერმადინიც იქ ჰხლებია, რადგანც მტირალი უკან დაუბრუნებიაო, ხოლო თვითონ ცხენზე შემჯდარა და კარები გაუვლიაო“. მოდით და გაიგეთ: შინ არ ულოცნია, რადგანაც შერმადინი ახლდა; ულოცნია გარედ და შერმადინი მაინც ახლდა. მაშ რაშია საქმე? გამოდის, რომ შერმადინის ხლება სულაც ხელს არ უშლის ლოცვას... საქმე იმაშია, რომ ბ. მირიანაშვილს უნდა როგორმე ჩააკეროს აქ სიტყვა „მიგ ზითა“, მარა ვერ მოუხერხებია. რასაკვირველია, ვერც მოახერხებს. ეს სიტყვა მოხსენებულია მხოლოდ სათაურში, მარა თვითონ ბ. მირიანაშვილი ბრძანებს, რომ სათაური რუსთაველს არ ეკუთვნის, მაშასადამე ამ სიტყვის ჩაკვეხება ყოვლად უადგილოა და უსაფუძვლო.

მეორე ადგილას ბ. მირიანაშვილმა მოინდომა ყურანის ჩაკვეხება. კარგია კიდევ, რომ მოქმედება სწარმოებს ნესტან-დარეჯანის ოთახში, თორემ აქაც მიგზითას ჩააკვეხებდა, ფიზიკურად შესაძლებელი რომ იყოს, მიგზითას ოთახში შეუძლებელია შეტანა, ყურანისა-კი, ამიტომ ბ. მირიანაშვილი ბრძანებს, რომ „მუსაფი“—ყურანიაო. უკაცრავად: ნება მიბოძეთ ამ შემთხვევაში სულ არ დაგეთანხმოთ. მუსაფი არის **ლოცვანი**, რომელიც შეიძლება იყოს ყოველი სჯულის და წესის, ყურანი კი მხოლოდ ერთია, როგორც სახარება და მხოლოდ მუსულმანური. აი ის ადგილიც:

შევხედენ, ვნახენ სასთუნალ
მუსაფი გაშლით მდებარე.

სასთუნალი ნიშნავს: თავს ქვეშ დასადებს წოლის დროს. ლოცვანი შეიძლება იყოს და არის კიდეც პატარა, თავის ქვეშ დასადები წიგნაკი, მარა უშველებელი ყურანი თავის ქვეშ დასადებად არავის გაუგონია. ლოცვანს ჯიბით ატარებენ, იმითი ხშირად სარგებლობენ, რადგანც ხშირად ლოცულობენ ხოლმე, საღამო ლოცვის მერე სდებენ ბალიშის ქვეშ. აი ამისთანა პატარა წიგნაკი ექნებოდა ნესტან-დარეჯანსაც, თვარა აბა რა მოლლაა იგი ან რა შეიგულ-ისლამი, რომ უშველებელი ყურანი თავის ოთახში ედოს. ყურანი ეხლაც უშველებელი წიგნია და მე-XII საუკუნეში კი, როცა არც სტამბა იყო და არც ეხლანდელი ქაღალდი, აშკარაა, მთელი ყურანი ერთი ურემი იქნებოდა. ამიტომ „სასთუნალ“ *) აქ ჰნიშნავს „საბალიშოს“ ე. ი. პატარას, ლამაზს, ხელი-ხელ საგოგმანებს. სწორედ ასეთი უნდ ყოფილიყო ის ლოცვანიც, რომლითაც სარგებლობდა ნესტან-დარეჯანი.

ამ ნაირად „მუსაფი“ ჰნიშნავს ლოცვანს, ხოლო რა შინაარსის იყო ეს ლოცვანი, რომელი სარწმუნოების ან კულტის,—ამაზე რუსთაველს არაფერი აქვს ნათქვამი. ამიტომ აქ ყურანის ჩაკვეხება აგრეთვე უადგილოა და უსაფუძვლო.

ბ. მირიანაშვილს მოჰყავს კიდევ ერთი ადგილი, სადაც ტარიელი ამბობს:

სრულნი მუყრნი და მულიმნი
მე გარეშემო მცვიდიან,
მათ ხელთა ჰქონდათ მუსაფი,
ყოველნი იკითხვიდიან...

„განა ეს გარემოება არ ამტკიცებს—განაგრძობს იგი მხიარულად—რომ ინდოეთის მეფის ფარსადანის სახლობა მაჰმადიანი ყოფილაო?!“ სამწუხაროდ აქაც უნდა დავარღვიო ჩემი მოკამათის მხიარულება. მუყრნი მოწვეულ იყვნენ ფარსადან მეფის სახლში არა როგორც მოლლები, არა როგორც წარმომადგენელნი ისლამის სჯულისა, არამედ როგორც მკურნალები ან შემლოცველები. მკურნალად და შემლოცველებლად კი შეიძლება ყოველი სჯულის კაცი მოიწვიო. ნუ თუ თქვენ რუსი ხართ, თუ მოიწვიეთ რუსი ექიმი, ან ებრაელი, თუ მოიწვიეთ ებრაელი ექიმი?! აბა ეს რა ლოღიკაა?

საინტერესოა—როგორ უყურებდა თვითონ ტარიელი ამ შემლოცველებს? საინტერესოა მისი სულიერი განცდა მაშინ, როდესად ეს პირები თავის ლოცვებს უკითხავდენ.

მტერ-დაცემული ვეგონე,
არ ვიცი, რას ჰჩმახვიდიან!

ირონიულად, დაცინვით ამბობს ტარიელი. „არ ვიცი, რას ჰჩმახვიდიან“ ე. ი. არ ვიცი, რას ჰჩურჩუტობდენო ან რა სისულელეს ჰჩადიოდნენო. ამ სიტყვას ამავე შინაარსით (ირონიით) სხვაგანაც ჰხმარობს რუსთაველი; მაგ. ავთანდილი ამბობს ფატმანის შესახებ:

სთქვა: ყვავი ვარდსა რას აქნევს,
ანუ რა მისი ფერია
რა უთქვამს, **რა მოუჩმახავს,**
რა წიგნი მოუწერია“.

სადღაც კიდევ ამბობს რუსთაველი, რომ ეს ცხოვრება „ზღაპარია და ჩმახია“. ასე რომ ეჭვი არ არის, ეს სიტყვა უნდა ისე გვესმოდეს, როგორც ზემო მაქვს ნათქვამი.—აქედან ლოღიკურად ის გამოდის, რომ ტარიელის მუსულმანად მონათვლა, მხოლოდ იმიტომ, რომ იმისთვის მუსულმანი მკურნალები და შემლოცველები მოიწვიეს,—უსაფუძლოა და შეუწყნარებელი. ის რომ მუსულმანი ყოფილიყო, თავისთავს ნებას არ მისცემდა ირონიულად მოეხსენებინა ეს პატივცემი პირები.

ვიმეორებ: რუსთაველს სრულიად არ აინტერესებს თავის უმთავრესი გმირების, ტარიელი და ავთანდილის, ნესტან-დარეჯანის და თინათინის, სარწმუნოება და კულტი, ის უკვირდება მხოლოდ მათს რელიგიურს რწმენას, როგორც სულიერ განცდას. ასეთი შეხედულობა უფრო მაღლა სდგას და ამტკიცებს ავტორის გენიოსობას. ჩვენ რად უნდა ვცდილობდეთ მოვხადოთ რუსთაველს ეს გენიოსობის გვირგვინი?!

IV

სული,—და არა გარეგნობა.

ეხლა წამომყევით მეოთხე მწვერვალზე... აწერია: **სიყვარული.**

მართალი გითხრათ, მეც მეშინია ავიდე ამ სიმაღლეზე. საჭირო არის

---

*) ბ. კარიჭაშვილმა ამ სიტყვას დაურთო „ს“ და სრულიად უსაფუძვლოდ: აქ ეს სიტყვა ზედ შესრულია და არა სახელი არსებითი.

გ. გ.

შატანკურას და ავოკურას გერმანელებმა საშინელი სროლა აუტეხეს დილის 4 საათზე მათ გარშემო თხრილებს იერიშით ეკვეთნენ და ზოგი მათგანი ხელთ იგდეს. აქ ფრანგებმა სიმაგრე დანლუ და ფიუმენის ტყე მიატოვეს.

გერმანელები ინგლისელთა შესახებ.

გერმანული გაზეთები კვლავინდებურად დაბეჯითებით გაიძახიან რომ გერმანელებმა ყოველი ძალღონე უნდა იხმარონ და ინგლისი იმდენად დაასუსტონ, რომ ომის გათავების შემდეგ მან გერმანიის ეკონომიურ განვითარებას ხელი არ შეუშალოს. ზავი ინგლისთან მხოლოდ მაშინ შეიძლება დავსდოთ, როცა იგი თავის თავს სრულიად დამარცხებულად ჩასთვლისო.

იმპერატორი ვილჰელმი სომის მიდამოებში.

კვირას, 3 თიბათვეს, როდესაც მოკავშირეთა მფრინავები პერრონის გზას ყუმბარებს ესროდნენ იმპერატორი ვილჰელმი ავტომობილით ბაპომისაკენ მიეშურებოდა. ვილჰელმი დიდს ყურადღებას აქცევს სომის მიდამოებში ბრძოლას, თვით ბრძოლის ასპარეზზე იმყოფება, ბევრში არ ეთანხმება თავის გენერლების ბრძოლის გეგმას, თუმცა არასფერში არ ეწინააღმდეგება.

ავსტრიელთა და ბულგარელთა ჯაშუშები საბერძნეთში.

ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ელჩებმა თავის მთავრობას აცნობეს, რომ საბერძნეთის მიწა-წყალზე ქ. იანინში ხშირად გამოჩნდებიან ხოლმე ბულგარების და ავსტრიელების გადაცმული აფიცრები, რომელნიც თავისუფლად მიდიან იანინში, ღებულობენ აქ ოფიციალურ კორესპონდენციას და ჯაშუშობას ეწევიანო.

მთაშავეთის სამხედრო მინისტრის ვეშოვიჩის ძმის ჩამოხრჩობა.

მთაშავეთის ყოფილი მინისტრი ვეშოვიჩი, როგორც ვიცით, ავსტრიელთა ტყვეებიდან გამოიქცა. ეხლა, ცეტინიეს გენერალ-გუბერნატორს განკარგულება გაუცია სახალხოდ ჩამოახრჩონ მინისტრის ძმა, გენ. ვეშოვიჩი, რომელიც წარსულ კვირას დაატყვევეს. რაიცა შეეხება ვეშოვიჩის მამას, 75 წლის მოხუცს იგი სასჯელიდან გაანთავისუფლეს.

არაბების აჯანყება.

არაბების აჯანყება დღითი-დღე მატულობს. აჯანყებულთა მეთაურმა შეიხმა იემენ იაგულომ ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყების დროშა ააფრიალა და ქალაქი კუნდუნდო ხელთ ჩაიგდო. შერიფმა ჰუსეინმა მექის უკანასკნელი სიმაგრე აიღო და მალე თვით ქალაქიც აჯანყებულთა ხელში გადავა. სტამბოლში ოსმალები ძალიან შეაფიქრიანა ამ აჯანყებამ და ამ მოკლე ხანში აპირებენ არაბეთისკენ მაშველი ჯარი გაგზავნონ. მექის დიდს შერიფს საკმაო ჯარი ჰყავს, მაგრამ მისი მოქმედება შეფერხებულია, ვინაიდან აჯანყებულ არაბებმა რკინის გზები დაანგრიეს.

გერმანელები ბალკანეთში

გერმანელები დიდს ყურადღებას აქცევენ ბალკანეთის ნახევარ კუნძულს და დიდი ენერგიით შეუდგნენ მის ბუნებრივ სიმდიდრის დამუშავებას. მაგალითად ამ ბოლო ხანებში გერმანელ და ავსტრიელ კაპიტალისტებს ვენგრეთის საკრედიტო ბანკის თაოსნობით დაუარსებიათ საზოგადოება, რომელმაც ბულგარეთში, რუმინეთში და ოსმალეთში ქვა-ნახშირის ახალ მადნებში უნდა დაამუშაოს. ამის გარდა ქ. სოფიაში გერმანელებს ახალი სამთამადნო ქარხანა დაუარსებიათ. სოფიაში გერმანელების მუშაობას დიდს მომავალს უქადიან.

პოლონეთის საკითხი

ამას წინად მეფის ბანაკში თათბირი მოხდა, რომელსაც დაესწრნენ ყველა მინისტრები და სათათბიროს თავმჯდომარე. თათბირი სხვათა შორის პოლონეთის საკითხსაც შეეხო. სამი პროექტი იყო წარდგენილი: ერთი პროექტი თხოულობდა პოლონეთის სრულს განცალკევებას რუსეთისაგან. ეს პროექტი არ შეიწყნარეს, მეორე პროექტი სათათბიროს თავმჯდომარე შტიურმერმა წარადგინა: პოლონეთში ფართე საერობო ავტონომია შემოვიღოთ. არც ეს მოიწონეს. მესამე პროექტი ს. დ. საზონოვისა იყო, სადაც ნათქვამია: პოლონეთი განუყრელი ნაწილია რუსეთისა, მხოლოდ დამოუკიდებელი არ არის საგარეო პოლიტიკაში. დანარჩენ საკითხებში ფართე თვითმართველობა ენიჭება. საზონოვის პროექტი მოიწონეს. ეს პროექტი განხორციელდება მაშინ, როდესაც გერმანელები პოლონეთს დასტოვებენ.

დეპეშები

(პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან)

რუსეთის ასპარეზზე. ქ. რიგის სიმაგრეებს გერმანელები ზარბაზანს უშენენ. მდ. ქვემო ლიპის მარცხენა ნაპირს მტერმა თავი მიანება და უკან იხევს. აქ რუსებს დიდი დავლა დარჩათ.

—

კავკასიის ასპარეზზე: რუსების ჯარის მარჯვენა ფრთამ წინ წაიწია. მოწინავე რაზმებმა თოვლიან მთის მწვერვალებს მიაღწიეს. პონტიის ტავრის მიდამოებში რუსების ჯარმა ოსმალთა მთელი როტა ტყვედ წამოიყვანა. რუსებმა ბაიბურთის მიდამოებში 34 აფიცერი და 608 ასკერი ტყვედ წამოიყვანეს.

—

საფრანგეთის ასპარეზზე: ღირსშესანიშნავი არა მომხდარა რა.

—

იტალიის ასპარეზზე: მტრის მფრინავებმა ყუმბარების სროლა გააცხოველეს.

—

ინგლისის ასპარეზზე: 13 თიბათვიდან დღევანდლამდის ინგლისელებს 10779 ჯარისკაცი და 189 აფიცერი წამოუყვანიათ ტყვედ.

—

22 თიბათვეს რიგიდან სამხრეთ აღმოსავლეთით კეკაუს რაიონში ზარბაზნების საშინელი სროლა სწარმოებდა. თვით ქალაქ რიგაში დედამიწა ზანზარებდა და შუშები იმსხვრეოდა. მოწინააღმდეგის ბანაკში რამდენსამე ალაგას რუსის ჯარმა ცეცხლი გააჩინა.

—

მოკავშირეებმა ნოტით მიჰმართეს ბრატიანუსს, რათა მან გამოარკვიოს, თუ რა დამოკიდებულებას იჭერს რუმინეთი მოკავშირეებთან. ბრატიანუს განუცხადებია. რუმინეთი საჭიროობს დაცვას ჯარის მოშველებას, რათა ბულგარეთი თავს არ დაესხასო. მოკავშირეებს დახმარებაზე უარი განუცხადებიათ.

ახალი ამბავი

◆ **თბილისის გუბერნატორისაგან.** დღეს, უძველესმა თბილისმა თავისს თავს სამუდამოდ მოუშორებელი ჩირქი მოსცხო. მთელი დღის განმავლობაში ქალაქში ძარცვა-გლეჯა იყო, ამასთანავე თბილისელების სამარცხვინოდ ძარცვავდნენ აგრეთვე ინტელიგენტებიც და რომელნიც არ სძარცვავდნენ, მძარცველებთადმი თანაგრძნობას აცხადებდნენ და ხელს უწყობდნენ მათ. წარმოიდგინეთ, რა რიგ გაახარეთ ნემეცები: კავკასიის უმთავრეს ქალაქში, მეფის ნაცვლის რეზიდენციაში, სხვის ქონებას იტაცებენ. და ეს ხდება იმ დროს, როცა ჩვენი მამაცი მხედრობა ყოველივე ღონეს იკრებავს, რათა საბოლაოდ გასტეხოს მტერი. ნაცვლად იმისა, რომ ამ მხედრობას ხელი შეუწყოთ და, რაიცა ასეთ დროს საჭიროა, ზნეობრივად დაეხმაროთ მას, მტერს ეხმარებით.

დაფიქრდით! ეხლავე ხელი აიღეთ ნემეცების სამსახურზე! დარწმუნებული ვარ, რომ უფრო შეგნებულნი გონებას მოიკრებენ, დანაშაულს მოინანიებენ და დამშვიდდებიან. დანარჩენთა დასათრგუნავად ერთილა საშუალებაა: ჯარები მოვიშველიო.

ვაფრთხილებ ყველას, რომ ყოველგვარი ცდა უწესოების მოხდენის შესახებ ქუჩებზე, იარაღით იქნება მოსპობილი. დაფიქრდით, სანამ გვიან არ არის.

ხელს აწერს თბილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი, ფლიგელ-ადიუტანტი

პოლკოვნიკი **მანდრიკა.**

◆ **სასახლეში.** მათი უმაღლესობა დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე მეუღლითა მილიცა ნიკოლოზის ასულითა და შვილით რომან პეტრეს ძით გაემგზავრნენ კიევს. სადგურზე მათი უმაღლესობა გააცილა თბ. თ-დ-აზნ. წინამძღოლმა თ-დ დ. ე. ჩოლოყაშვილმა.

◆ **თ. დ. სუმბათაშვილის** სურვილის თანახმად წმინდა შემოსავალი ქუთაისში გამართულ ლექციიდან შემდეგ ნაირად იქმნა განაწილებული: 150 მ. გაეგზავნა ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას, 150 მან. გადაეცა თბ. ქართ. დრამატიულ საზოგადოებას და 80 მანეთი საავარაკო კომისიას.

◆ **ქ. ახალქალაქიდან** გამგეობის წევრი გ. ცინცაძე დეპეშით ატყობინებს გამგეობას რომ ქალ. ერთი ნაწილი ლტოლვილთა, ამ მაზრიდან უკვე წასულან, მეორე ნაწილი ს. ს. ჭორთალოსა და ქათელეში მსწრაფლ დახმარებას საჭიროებენ. არსდება სამკითხველო, საჭიროა პირველ დაწყებითი სკოლაო.

◆ **საგანგებო კრება:** გუშინ, ნაშუადღევის 3 საათზე, საგანგებო კრება შესდგა ქალაქის გამგეობის წევრთა და სასურსათო კომიტეტის წევრებისა.

◆ **საქველმოქმედო საზოგადოებაში.** ოზურგეთიდან ბ-ნი ნ. ჟორდანია დეპეშით ატყობინებს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობას რომ ბახმაროში სასურსათო კრიზისია ჩამოვარდნილიო და თხოულობს ერთ ვაგონ სიმინდს.

◆ **ქართ. ფილარმონიულ საზოგადოებაში.** თბ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობამ თვის მუსიკალურ სკოლის მასწავლებლად მიიწვია პეტროგრადის კონსერვატორიაში სწავლა დამთავრებული მასწავლებელი ქალი ვ. ა. ალეინიკოვა.

◆ **ახალ კლუბის** წევრთა საზოგადო კრების გაგრძელება დანიშნულია კვირას, 10 მკათათვეს.

◆ **შაბიამანი და გოგირდი.** ფრიდონოვის კანტორამ დღემდე მიიღო ორი ვაგონი გოგირდი და 3 ვაგონი შაბიამანი. ფუთ გოგირდს კერძო პირზე ჰყიდის 11 მ. 50 კ. კოოპერატივებზე 10 მ. 80 კ. ფუთ შაბიამანს კერძო პირებზე ჰყიდის 17 მ. 40 კ. კოოპერატივებზე 16 მ. 65 კ. სულ გამოწერილია შაბიამანი 110 ათასი ფუთი, გოგირდი 70 ათასი ფუთი. დღემდე მიღებულია გოგირდი 36 ათასი ფუთი, ხოლო შაბიამანი 45 ათასი ფუთი.

◆ **თბ. რუსულ გაზეთების** ფასი ქაღალდის სიძვირის გამო 7 კაპ. გახადეს თითო ნომერი გამომცემლებმა. ამის გამო გაზეთის გამყიდველებმა აღარ წაიღეს გაზეთი, ასე რომ რუსული გაზეთები 3 და 4 მკათათვეს თბილისში არ გაყიდულა.

◆ **ბრძოლის ველზე** გარდაიცვალა ჭრილობისაგან კორნეტი ლევ. ნიკ. თ-დი დადიანი.

◆ **გიმნაზია ზუგდიდში.** თანახმად ზუგდიდის მცხოვრებთა რწმუნებულების მღ. ჯახტაბერიძის და ვ. კ. ალშიბაიას შუამდგომლობისა დ. ზუგდიდში არსდება მომავალ სამოსწავლო წლიდან კერძო გიმნაზია ორთავე სქესის ბავშვთათვის. პირველ წელიწადს დაარსებულ იქნება მოსამზადებელი 1 და 2 კლასი. ზუგდიდელები ფიქრობენ შემდეგ ეს სასწავლებელი მთავრობის გიმნაზიად გადააკეთონ. საჭირო ხარჯს ადგილობრივი მცხოვრებნი იღებენ.

◆ **სახალ. სახლთან არსებ. ქართ. წარმოდგ. მმართ. წრის** წევრთა წლიური ჩვეულებრივი კრება დანიშნულია დღეს, ხუთშაბათს, 7 მკათათვეს საღამოს 7 საათზე წრის კანტორაში (მიხაილოვის ქუჩ. № 102). რადგან 30 თიბათვეს კრება, წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო არ შესდგა, ეს ხელმეორედ დანიშნული კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

◆ **გადასახლებულის დაბრუნება.** ომის დაწყებამდე ორი თვის წინეთ, აჭარელი ბეგი, სულეიმან ბეგი ბეჟანიძე, იგივ დიასამიძე, ადმინისტრატიულად გადასახლებულ იქმნა რუსეთში. ომიანობის გამო მისი საცხოვრებელი აკლებულ იქმნა სრულიად. ეხლა მთავრობამ ნება მისცა სამშობლოში დაბრუნებისა.

◆ **ტრამვაის მოძრაობის შეჩერება.** მთავრობის განკარგულებით გუშინ მთელი დღის განმავლობაში ტრამვაის ვაგონები არ მუშაობდნენ.

◆ **შეგირდების გამოცდა.** 5 მკათათვეს, მოხდა შეგირდების გამოცდა საგარეჯოს საფეიქრო სკოლის შეგირდებისა. გამოცდას დაესწრნენ ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრნი ბ-ნნი ჰ. მამრაძე და დ. ჩხეიძე, წარმომადგენელი კავკასიის საფეიქრო კომიტეტისა ბ-ნი მეფფერტი და ადგილობრივ საზოგადოების წევრნი. როგორც გამოცდაზე ერთ-ერთ დამსწრეთაგანმა გადმოგვცა, შეგირდები კარგად მომზადებულები აღმოჩნდნენ, ყველა 16 მოსწავლეს ერთნაირად კარგად ჰქონიათ შეგნებული თავიანთი საგნები. როგორც ჩანს სკოლის მასწავლებელს ქ-ნ კაპანაძეს დიდი უნარი გამოუჩენია თავისს საქმეში. მოსწავლეების გამოცდის შემდეგ თბილისელი სტუმრები იმავე დღესვე დაბრუნდნენ თბილისში.

◆ **საგანგებო კრება.** დღეს, 7 მკათათვეს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს საზოგადოების მდივანი.

◆ **შემოიტანეს.** თბილისში 3 და 4 მკათათვეს: ფქვილი 71 ვაგ., ქერი 2 ვაგ., სიმინდი 1 ვაგ., ღვინო 1 ვაგ. გაუწმენდავი ნავთი 7 ვაგ., შეშა 4 ვაგონი, კვერცხები 127 ფუთი.

◆ **გადამდები ხნეულებანი.** 5 მკათათვეს ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 43, ხუნაგიანი 12, ყვავილიანი 2, სახადიან 58, სოფლიანი 127, მუცელათი 5 კაცი.

გორი.

გორის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო 80 ფუთი შაბიამანი საბჭო სთხოვს წევრებს წაიღონ თავისი წილი 15 მკათათვემდე. ვინც ამ ვადამდე არ წაიღებს, შაბიამანი გაეყიდება. გირვანქა იყიდება 50 კაპ.

ს. ხეითი (ზემო ქართ.)

სოფლელებმა გადასწყვიტეს დაიარსონ მომხმარებელი ამხანაგობა. ამ დღეებში გუბერნატორს წარუდგინენ წესდებას დასამტკიცებლად.

განათლების საქმე

სახალხო განათლების მინისტრმა გრაფმა იგნატიევმა მინისტრთა საბჭოს წარუდგინა ვრცელი მოხსენება, რომელშიც იგი აუცილებელ საჭიროებად აღიარებს რუსეთის იმპერიის სხვა და სხვა ქალაქებში ახალ უმაღლეს სასწავლებლების გახსნას.

მოხსენებაში მინისტრი სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში რუსეთის ხალხში საერთო განათლების სურვილმა მეტის-მეტად იმატა და ამავ დროს კი სამინისტროს არავითარი ზომები არ მიუღია, რომ ცოტათი მაინც დააკმაყოფილოს ხალხის მოთხოვნილება სწავლა განათლების საქმეში და მის კულტურულ აღორძინებას ხელი შეუწყოს.

ყოველ-წლიურად რუსეთის იმპერიაში საშუალო სასწავლებელს 22,000 კაცი ათავებს, მაშინ, როდესაც უმაღლეს სასწავლებლებს მხოლოდ 20,000 კაცი შეუძლიან დაიტიოს. ამგვარად მუდამ წელს 2,000 ე. ი. 10% საშუალო სასწავლებელ დამთავრებულთა უმაღლეს სწავლის მიღებას მოკლებულია.

ამგვარად, თუ მთავრობას უმაღლეს სასწავლებლების მოთხოვნილების დაკმაყოფილება ჰსურს, მან ორში—ერთი გზა უნდა აირჩიოს: ან ისე გააფართოვოს აწინდელი უმაღლესი სასწავლებლები, რომ ყოველ მსურველთათვის მათ კარები მუდამ ღია ჰქონდათ, ან ეხლავ შეუდგეს ახალ სასწავლებლების გახსნას. პირველი, თუმცა უფრო ნაკლებ ხარჯს მოითხოვს, მაგრამ ინტელიგენტ ძალებს მსხვილ ცენტრებში მოუყრის თავს, მეორე კი, თუმცა ძვირად დაჯდება, მაგრამ სამაგიეროდ საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებისთვის ხელსაყრელია, რადგან ხელს შეუწყობს ახალ კულტურულ და ეკონომიურ ცენტრების შექმნას, განავითარებს მეცნიერებას და საზოგადოდ ხალხის გათვითცნობიერების საქმეს წინ წასწევს.

უნდა ვიფიქროთ, რომ სახალხო განათლების მინისტრსაც სწორედ ეს აზრი ჰქონდა, როდესაც პროექტს ადგენდა. მაგრამ არ შეგვიძლიან ერთი მეტად საყურადღებო გარემოება არ აღვნიშნოთ: პროექტის ავტორის აზრით ჯერ-ხნობით რუსეთისათვის უსაჭიროესია გაიხსნას 10 ახალი უმაღლესი სასწავლებელი. ამათში 8 თვითონ სამინისტროს ხარჯით გაიხსნება, ეს სასწავლებლები მთავრობისა იქნება, დანარჩენი ორი: თბილისში და ეკატერინოსლავში, უნდა ვიფიქროთ ,რომ მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებთა ინიციატივას და ჯიბეს დააწვება. აქ ნათლად სჩანს, რომ თვითონ ყველაზე პროგრესიულმა მინისტრმაც კი ვერ სძლია რუსეთის მთავრობის ძველ პოლიტიკას, რომელიც ჩვენს ქვეყანას სხვა თვალსაზრისით უცქერდა და მის კულტურულ-ეკონომიურ წარმატების ზრუნვისთვის ერიდებოდა. თუ არა ამ მიზეზით, მაშ რითი აიხსნება ის გარემოება, რომ განათლების მინისტრი თავის მოხსენებაში მხოლოდ გაკვრით იხსენიებს კავკასიას და კერძოდ მის სწავლა-განათლების საჭიროებას და მარტო ოდენ აღნიშნავს, რომ იქ, უმაღლის სასწავლებლების მოთხოვნილება [illegible] მაგრამ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება კერძო ინიციატივის საქმეა. თუ რად გამოჰყო მინისტრმა კავკასია და კერძოდ კი ამიერ კავკასია ეს არც მაგრე ძნელი ასახსნელია. ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენში ადგილობრივ მცხოვრებთა ინიციატივას რა გასავალი აქვს რუსეთის ბიუროკრატთა შორის, ისიც ვიცით და წარსულიც ამის თავდებია, რომ ხშირად ჩვენს სურვილებს წინ მრავალი დაბრკოლება ეღობება ხოლმე და ინიციატივას დასაწყისშივე ჰკლავს.

ყველა ეს გვაფიქრებინებს, რომ როცა საქართველოს კულტურულ და ეკონომიურ განვითარების საქმეში მთავრობა იმედს მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებთა ინიციატივაზე ამყარებს, იგი თავის ძველებურ შორსმჭვრეტელობას იჩენს და ერთხელ და ერთხელ არჩეულ გზას არა ჰღალატობს.

თურქების პრესა

„იჰიკ-სოზში“ მოთავსებულია წერილი „მაჰმადიანთა მსოფლიო ევროპის თვალში“, სადაც მოთხრობილია ის ამბავი, როცა რუსეთის სათათბიროს წევრები ევროპაში თავიანთ მგზავრობას ამთავრებდნენ და სამშობლოში ბრუნდებოდნენ; ამ დროს პოლონელების, ებრაელების და სომხების საკითხების საჩქაროდ განხილვის საჭიროების აუცილებლობის შესახებ წარმოთქმული სიტყვები უკვე ყველამ მოეხსენება.

ძალაუნებურად კითხვა იბადება: რუსეთის 30 მილიონიან მაჰმადიანებზე რად არაფერი ითქვა. ეს გარემოება მაჰმადიან კალმოსნებს ღრმად გააფიქრებს.

სხვათა შორის მოსკოვში არსებულ გაზეთ „სოზ“-ში იაჰ-ეფენდი თავის წერილში საფრანგეთის, ინგლისის, ჰოლანდიისა და სხვა ევროპის სახელმწიფოთა ქვეშევრდომობაში მოქცეული მაჰმადიანების პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხების განხილვის შემდეგ ნამდვილ საკითხზე გადადის და ამბობს:

„ჩვენმა სახელმწიფო სათათბიროს წევრებმა მოკავშირეთა სახელმწიფოში იმოგზაურეს, იქ სახელმწიფო პირებს გაიცნეს და მათთან მსჯელობა და საუბარი გამართეს იმის გამო, თუ რუსეთში რა-ნაირი რეფორმების შემოღებაა საჭირო.

„როცა მგზავრები სამშობლოში დაბრუნდნენ ძლივს მოტანილ მრავალს ქაუასთან ერთად ამ ბატონებს არა რუსისთვის სხვა „ამანათი“ გამოატანეს. ებრაელებისათვის თანასწორობა თორემ ჩვენ რუსებს სისხს აღარ მივცემთო. „სომხებს სასომხეთის დასაარსებლად დახმარება აღმოუჩინეთო და „პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის იზრუნეთო და სხვა“.

ყველა ამათი სისრულში მოყვანა მტრის დასამარცხებლად აუცილებლად საჭირო არის, მაგრამ რუსეთის 30-თი მილიონიან მაჰმადიანებს შესახებ კი ერთი სიტყვაც არ დაუხარჯიათ.

ამის შემდეგ ავტორი [illegible] ეძებს ასეთნაირის მოპყრობისას და ამბობს: ასეთი მოპყრობა საგანგებო პოლიტიკით აიხსნება.

შემდეგ ავტორი შეეხება იმ პირებს, რომლებსაც ავრცელებენ მაჰმადიანთა წინააღმდეგ და დასძენს:

„ეს ასე რად ხდება?“

„მიტომ რომ ჩვენ მაჰმადიანები ვართ“.

„მიტომ რომ მაჰმადიანებზე ყველაფერის დაბრალება ადვილია“.

„მიტომ რომ ჩვენ ამ ქვეყნის ცხოვრებაში ჯერ კიდევ ბავშვი ვართ.

საჭირო მაჰმადიანებმა თავიანთ თავს მოუარონ და დაანახვონ რომ ისინიც მიწის შვილები არიან.

ალ. ყიფშიძის გარდაცვალების გამო

სამძიმრის წერილი

პეტროგრადი. პეტროგრადის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს პატიოსან ნიჭიერ მწერლის და თავდადებულ საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ყიფშიძის უდროოდ გარდაცვალების გამო.

გამგეობის სახელით **ა. კორძაია.**

—

ჩვენი მოხევეების მწუხარებაც შეუერთეთ დანარჩენ ქართველების სიგლოვას უდროოდ გარდაცვალებას მთიულეთის ავტორის ალექსანდრე ყიფშიძისას. 26 ივნისს გადახდილ იქმნა პანაშვიდი მის სულის მოსახსენებლად

მღ. **ბარნაბ ღუდუშაური.**

თავისებური კიბე, საჭირო არის გადაშლაც ზოგიერთ ფილოსოფიურ სისტემისა, მარა ეს შორს წაგვიყვანს, პატარა წერილში ვერ მოთავსდება და არცა მაქვს საჭირო მასალა ხელქვეით. ამიტომ ნება მომეცით უკუვაგდო სამეცნიერო ტერმინები და მდაბიოდ გადმოგცეთ ის, რაც მინდა ვსთქვა.

სიყვარული არის ძირითადი იდეა „ვეფხის-ტყაოსნისა“. იგი ჰბადს და ამოძრავებს მოქმედებას, იგი ამაღლებს და ასპეტაკებს ბუნებას, იგი ანათებს ქვეყნიერებას. ყველგან ისმის მისი საიდუმლო ხმაურობა, როგორც დაშორებული გრგვინვა ცის კიდურში.

ჭექა-ქუხილის დროს ჩვენი მდაბიო ხალხი ამბობს—ეს წმიდა გიორგია, რაშს მიაჭენებსო... სწორედ ამისთანა შთაბეჭდილებას ახდენს „ვეფხის-ტყაოსანი“. ჰკითხულობ მას და გაკვირვებული ხარ სიღრმით და შვენებით, მისი ფონისა (фонъ) და პერსპექტივისა: გაშლილია მშვენიერი და უნაპირო ცა და ქვეყანა... და უეცრად, დროგამოშვებით, ამ საოცნებო ცის და მიწის კრთომაში მოგესმის გუგუნი, ხან ტკბილი, როგორც მუსიკალური სიმფონია, ხანაც საშიში, როგორც მეხი. რაღაცა არის . ცხოვრობს და ჰქრის რაღაცა სული, უხილავად გაბნეული მსოფლიოში... სული, რომელზედაც ამბობს პირველი წიგნი „დაბადებისა“: „და სული წმიდა იქცეოდა ზედა წყალთა..“ და რუსთაველიც:

ზეგარდმო არსნი სულითა
ჰყვნა, ზეცით მონაბერითა.

ეს სული იძვრის და ჰტრიალებს ყველგან—საქართველოში, ინდოეთში, არაბეთში თუ ხატაეთში. ყველგან სცემს საიდუმლო სიმფონიას, ან გრიალებს და ებრძვის მავნე და შემბოჭველ ძალებს—მაშინ თითქო მიაქროლებს საიდუმლო რაშს ელვა-მეხით აღჭურვილი და ზანზარებს ცა და ქვეყანა.

ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ
სახე ყოვლისა ტანისა!
შენ დამიფარე, ძლევა მეც
დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი,
სიკვდიმდე გასატანისა,
ცოდვათა შემსუბუქება,
მუნ თანა წასატანისა,—

აგრე ლოცულობს თვითონ რუსთაველი, შეპყრობილი ღვთაებრივის შიშით ამ დიადი მოვლენის წინაშე.

ეს სული ყველგან არის, მარა მხოლოდ ადამიანში ჰპოულობს თავის შეცნობილ განსახიერებას. ბუმბერაზმა რუსთაველმაც მისცა ამ მოვლენას ხელოვნური განსახიერება და ცა და ქვეყანა მოაქცია ზნეობრივ სფეროში. ცნობილი ფილოსოფოსი კანტი თავის თავს კოპერნიკს ადარებდა: „როგორც კი პერნოვმა დააწყებინა მიწას ტრიალი მზის ირგვლივაო, ისე მეც დავაწყებინე ქვეყნიერებას ტრიალი ადამიანის გარეო“, ამბობდა იგი. რუსთაველმა რამოდენიმე საუკუნით იმაზე უფრო ადრე მოახდინა ეს რეფორმა ზნეობრივი ფილოსოფიისა. რას ვხედავთ ჩვენ მის თხზულებაში? მხოლოდ გმირებს, მხოლოდ ადამიანებს;—ნესტანი, ტარიელი, თინათინი და ავთანდილი—მხოლოდ ეგენი არიან და მხოლოდ ეგენი სჩანან, დანარჩენი თითქმის ყველაფერი დაჩრდილულია, დაჩრდილულია ისეთი მოვლენებიც, როგორც სახელმწიფო, ეროვნება, სჯული. ხალხი, ჯარი, დიდი, პატარა, თვითონ სახელმწიფოები და მათი ინტერესები—ჰტრიალებს იმათ ირგვლივ, თვითონ მზე თითქო ამოდის და ჩადის მხოლოდ იმათთვის. მკითხველის თვალწინ მხოლოდ მათი სიყვარულია, მხოლოდ მათი სულიერი განცდა,—დანარჩენი რეალობა მხოლოდ იმდენად არის ნახსენები, რამდენად ამას მოითხოვს ესტეტიკური ზომიერება იმავე სიყვარულის განსასახიერებლად და დასასურათხატებლად.

გარეგნობა?—იგი არ არის მართალი, იგი გადაჭარბებულია სინამდვილეს. ბნელ ღამეში ნესტან-დარეჯანი ანათებს, როგორც მთვარე („ზოგთა სთქვეს—არის ცისკარი, ზოგთა სთქვეს—არის მთვარეო“), ტარიელი ისე ღონიერია, რომ შეუძლია ხელთ დაიჭიროს ვეფხი, ცაში გააბნიოს მთელი რაზმი მეომართა („ჰბრუნავს, როგორც ტანაჯორი“), ქუსლი წაჰკრას და დაამხოს მთელი ხომალდი და სხვა... სულ ეს, კერძოთ თუ აიღებთ, წარმოადგენს დიდს სისულელეს, რომელსაც შეუძლიან დაამხოს და ჩასძიროს დავიწყების ზღვაში ყოველი თხზულება, გარდა „ვეფხის-ტყაოსანისა“. რათა? იმიტომ რომ „ვეფხისტყაოსნისთვის“ თავი და თავი არის სიყვარული, ღრმა, მწველი, სხივოსანი. რუსთაველის გმირები დადიან და ანათებენ, თითქო მზეს ატარებენ გულში, ჰტირიან—ჰტირის გარემო ხალხი, იცინიან—იცინის არემარე, მღერიან—ბაყაყებიც-კი გამოდიან წყლიდან, რომ ყური დაუგდონ. სიყვარულის სხივოსნობა ეფინება არემარეს და უერთდება მსოფლიო სულს.

გიორგი გვაზავა.

(შემდეგი იქნება)

ლაზების გათვითცნობიერება

ლაზისტანი ოსმალთ ბევრად ადრე დაიპყრეს, ვინემ სამცხე-საათაბაგო. ჯერ სამცხე დაპყრობილი არ იყო, რომ ლაზისტანში უკვე ისლამი ვრცელდებოდა. მთელი ლაზისტანი გაიყოფებოდა ოთხ საეპისკოპოსოდ. მთავარი ეპისკოპოსი ტრაპიზონში იჯდა, ამათ ლაზებზედ დიდი გავლენა ჰქონდათ, ხოლო ისლამის მქადაგებლებს კი წინ ვერ უდგებოდენ, ვინაიდგან მათ ოსმალოს მთავრობაც მფარველობდა.

სამცხე-საათაბაგო ოსმალეთმა დაიმორჩილა 1627 წ. ამ დროს, ლაზისტანში უკვე ისლამი საერთოდ იყო მოფენილი და გავრცელებული. ქართველთ გამაჰმადიანების დროს, პირველად ხოჯები და მოლები ლაზისტანიდან შემოიყვანეს მესხეთ-ჯავახეთში, პირველად გათათრებულ ქართველებს ლაზელი ხოჯები და მოლები ჰყავდათ მომვლელად.

ლაზელმა ხოჯებმა ისლამის გავრცელების საქმეს მთელ სამცხე-საათაბაგოში, დიდი-ვალი დასდვეს. ისლამი ასეთის ცდით უფრო ვრცელდებოდა ქართველებში. ასე და ამ გვარად, მერე 50 წლიწადი სამცხე-საათაბაგოში, ხოჯებათ სულ ლაზები იყვნენ, ქართველის ხოჯის ხსენება არ იყო. მაგრამ ლაზელების ცდით სამცხე-საათაბაგოში 1660 წლებს უკვე ქართველ გვარის ხოჯებიც გაჩნდნენ.

ისლამში ლაზებმა გამოიჩინეს დიდი ფანატიზმი, ფანატიკობით ამათ გადააჭარბეს თვით ოსმალებს. მიზეზი ამის ის ყო თურმე, რომ მუსულმანებში ოთხი სექტა ყოფილა, ერთი მეორეზედ უარესი, მეოთხე სექტა რომელიც უფრო ფანატიკურია, სწორედ ეს სექტა გაუვრცელებიათ ლაზებში, რომ ამით იგინი დიდი ფანატიკები გამოსულიყვნენ, ეს ასეც მოხდა, ლაზები და ქართველები ფანატიკობით ყველა მუსულმანებს სჯარბობენ.

ოსმალთ იმეცადინეს და ლაზები სასტიკათ მოწყვიტეს საქართველოს ნიადაგს, ქართველთ ერის ძალას, ქართულ ენას და ქართულ ანბანს, ქართულ ისტორიას, მწერლობას და სხვა ასეთებს. ოსმალთა სასულიერო წოდებამ ლაზები თითქმის გაავველურეს, ამის გარდა ლაზები დაარწმუნეს შემდეგს ყალბს ცნობებით.

ლაზები და ჭანები ქართველების ნათესავები არ ხართ, თქვენი ენა ლაზური ენა არის და არა ქართული, თქვენი წიგნი ქართული არ არის. თქვენ ეხლა მუსულმანები ხართ, თქვენი სჯული ისლამის არის, ამიტომ თქვენი წიგნიც არაბული უნდა იყოს და თქვენ უნდა ისწავლოთ თქვენი სჯულის ენა—არაბული და არა ქართული, ქართველთ თქვენთან კავშირი არა აქვთ. თქვენ ლაზები ხართ და არა ქართველები.

ასეთის ქადაგებით ლაზებში ამოვარდა ქართული ენა, ქართული მწიგნობრობა და მის მაგიერ გავრცელდა არაბული ანბანი და ოსმალური ენა, ეს დავიწყება ისე წავიდა წინ, რომ მე-18 საუკ. ლაზისტანში ქართული ენის მცოდნე სანთლით საძებარი გახდა. დავიწყებას თან ერთოდა ის გარემოებაც, რომ ისლამის სწავლის თანახმად ხოჯები ქართული ენის და წიგნის მტრობასაც უნერგავდენ და უქადაგებდენ.

ქართული ენა იცოდნენ თითოოროლა ისეთ ლაზებმა, რომლებიც ხელოსნობის გამო იმერეთში გადადიოდენ სამუშაოდ, სამცხე-საათაბაგოს და საქართველოს სხვა ადგილებში, ასეთებისაგან გაიგონებდით ლაზისტანში ქართულ ენას, თორემ მთელი ლაზისტანი რომ დაგევლოთ, ვერსად სიტყვას ვერ შეიტყობდით ქართულს.

საქმე ისე მოეწყო, რომ ფანატიკ მოლების და ხოჯების დახმარებით ქართული ენა კი არა, თვით ლაზური ენაც მიეცა დევნას და დავიწყებას. ამის მაგალითია ის გარემოება, რომ ლაზისტანში, ბევრს ალაგას, ლაზებთ შორის ლაზური ენა დავიწყებულია, დაკარგული და მის მაგიერ ოსმალურს ენაზედ ლაპარაკობენ. მე-19 საუკუნის დამდეგიდან, მთელს ლაზისტანში ლაზურ ენას შიშის ზარი დაუდგა. თუმც ლაზებმა ის კი იცოდნენ კარგად, რომ ჩვენ ქართველის ნათესავი ვართ და ჩვენი ანბანი არის ქართული.

ასეთი ცნობები მკვიდრად იყო დაცული ლაზელ ბეგებსა და აღებში ანუ თავად-აზნაურებში. ამიტომაც ლაზებში ბევრს დიდებულთ შორის, ქართული ანბანი 1840 წლებამდე თურმე კიდევ ისწავლებოდა. აი ამის მაგალითი: 1860 წ. ალი ფაშა თავდგირიძემ ცოლად შეირთო ლაზი თავადის შაინ-ოღლის ქალი დინდინ-ხანუმი. ეს ქალი სძლად ქობულეთში მოიყვანეს, ამ დროს ამ ქალმა ქართული წერა-კითხვა იცოდა, რაც ლაზისტანში ესწავლა მას.

დიახ, ლაზელ ბეგებმა და აღებმა იცოდნენ ეს ამბები, რომ იგინი ქართველთ მონათესავენი არიან და მათი ანბანიც ქართული იყო, ხოლო უმრავლესობამ კი არ იცოდა ესა. ამ ბოლო დროს კი, ანუ 1910 წლების შემდეგ ლაზელ ბეგებსა და აღებში ძველ გარდმოცემათა ცნობებს გავრცელება დაუწყვია და ლაზებში ბევრი გაოცებულან იმ გარემოებით, რომ იგინი ქართველის ტომის ნათესავნი არიან, შეუგნიათ ისიც, რომ მათი ანბანია ქართულია და არა არაბული.

ამის შეგნებისათვის მათში ქადაგებაც დაწყებულა და მოკლე დროის განმავლობაში, ამ აზრის შეგნებას ბევრი პატივის მცემლებიც ჰყავს, რომელთაც ხმა-მაღლა ულიარებიათ, რომ ჩვენ ქართველთ ნათესავები ვართ და ჩვენი ენის ანბანიც ქართული ანბანი არისო. ასეთის ქადაგებით ბევრი აღფრთოვანებულია. ბოლოს აი რა მომხდარა:

ლაზისტანის ხოფას იქით, ამავ ქალაქის მაზრის მცხოვრებთ შორის გავრცელებულა ის აზრები, რომ ჩვენი ენა და წიგნი ქართული არისო. ამიტომაც სოფ. აბოისლიარში მცხოვრებთ კოლექტიური თხოვნა შეუდგენიათ, სტამბოლში კაცები გაუგზავნიათ მინისტრთან და უთხოვნიათ ნებართვა მის შესახებ, რომ ჩვენ ნება მოგვეცეს, რომ ჩვენს სკოლებში ჩვენი ენის გურჯული, ქართული წიგნი ვასწავლოთო.

ამ საქმის მეთაური ყოფილა ლაზი აბდულა აშიყ ჰასან-ოღლი. მინისტრებს თხოვნა დიდის პატივისცემით მიუღიათ, ნებართვაც მალე მიუციათ და ლაზებში ქართული ენის მცოდნე მასწავლებლები უნდა მიეხმოთ და ქართულის სწავლება უნდა დაეწყოთ, მაგრამ ამ გარემოებას ომიანობამ შეუშალა ხელიო, საქმე დარჩა ასეო, ომის შემდეგ კი საქმეს დაიწყებენო.

ასეთი ამბები გადმოგვცეს ლაზისტანიდან ჩამოსულ ლაზებმა და თან მათს სიხარულს საზღვარი არ აქენდა. მადლობას უძღვნიდენ ღმერთს, რომ ჩვენ ძლივს მივხვდით ჩვენს ვალსო.

ზ. ჭ.

სოფ. ქაქუთის მეჩეთის აშენების შესახებ

წავიკითხე ქართულს გაზეთებში, ჩვენი თანამოძმე სოფ. ქაქუთის მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანთა სალოცავი მეჩეთის აშენების შესახებ, რომლის განსახორციელებლად დეპუტაციაში აურჩევიათ:

მეჩეთის მოლა ალი ეფენდი ვარმანიძე, მღვდელი მამა ს. შავიშვილი, პატივცემული მემედ აღა მეგრელაძე და გერასიმე რამიშვილი. ამ ამბავმა ჩემზე განუსაზღვრელი სასიხარულო შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ქართველ მაჰმადიანთა სამლოცველო მეჩეთის აშენებაში, მხურვალე მონაწილეობას იღებენ ქართველი ქრისტიანები და მეტადრე მათი სულიერი მოძღვარი მღ. შავიშვილი და სხვანი.

პატივი და დიდება მათ მოქმედობას!

სწორედ ამ გვარად უნდა ვირჯებოდეთ და ვმოქმედობდეთ ყველა ქრისტიანი ქართველები. უნდა დიდის სიყვარულითა და მოწიწებით მოვეპყრათ ჩვენი ღვიძლი ძმების სულიერს საუნჯეს, მათ სიწმიდეს და მათ სალოცავს.

ღმერთი ერთია ქვეყანაზედ და ეს ერთი ღმერთი არის ყველასათვის.

ჩვენთვის სანატრელი და სანუკვარი რჯულით გაერთიანება კი არ არის, არამედ არის ეროვნების განმტკიცება და ყველასაგან სამშობლო ქვეყნის საერთო ძლიერი სიყვარული და მსახურება, მტკიცე ერთობა და ურთიერთი სათვის თავის დადება.

აი ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ნატვრა და ანდერძი

მე მრწამს, რომ ამას ელტვის ყველა ქართველი და ამისკენ არის მათი მისწრაფება.

მაშ დავეხმაროთ ჩვენ ღვიძლ ძმებს ქაქუთის საზოგადოებას თავის სალოცავ მეჩეთის აშენებაში და ყველამ შევიტანოთ ჩვენ ჩვენი წვლილი.

ამ მიზნისათვის ჩემის მხრით გაახლებთ ერთ თუმანს და ჩემი მეგობარი ქართველი ოჯახისაგანაც ერთ თუმანს, სულ ოც მანეთს.

დავშთები ქართველი ერის მტკიცე ერთობისა და სიყვარულის მარად მოტრფიალე

სოხიკო მერკვილაძე.

წერილი სოხუმიდან

ამას წინათ „საქართველოში“ ვწერდი: აქ გაიხსნა ქართული კიოსკი „დიოსკურია“ რომლის მიზანია—ქართველ ხალხში ქართული წიგნების და ჟურნალ-გაზეთების გავრცელება თქო, და გამოვსთქვამდი—აზრს, რომ ყველა დაგვხმარებოდა ამ საქმეში და ყოველივე მხრით ხელი შეეწყოთ. მწუხარებით უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი მოწოდება არ გამართლდა და იმის მაგივრად, რომ ხელი შეგვიწყონ—გვიშლიან კიდეც. ჩვენი კიოსკის არსებობას ბევრი ვერ ინელებს და ჩვენს წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან ხალხში. ამას წინად სახალხო უნივერსიტეტის კრება იყო და იქ ბ-ნ სტ. ჯ—ლს ხალხისთვის უთქვამს: ჩვენს კიოსკის (აქ არსებობს მეორე კიოსკი—სახალხო უნივერსიტეტისა) წინააღმდეგ აქ „რაღაც“ (?) კიოსკი დაარსეს და ჩვენ თუ მარჯვეთ არ დავხვდით, არ ვარგაო; ჩვენც ავაშენოთ უკეთესი კიოსკის შენობაო და სხვ.“ სამწუხაროდ, აქაურმა დასელებმა აქაური სახალხო უნივერსიტეტი პარტიულად გადააქციეს და ყველაფერს თავიანთ გემოვნებაზე ლაპარაკობენ თუ აკეთებენ, თითქოს სხვა ჯგუფები წინააღმდეგი იყვნენ უნივერსიტეტებისა. ერთხელ და სამუდამოდ გაიგეთ ბატონებო, რომ ყოველგან ჯგუფებრივობა არ ვარგა. ამით საქმეს თუ წავახდენთ თორემ ვერ გავაკეთებთ. ჩვენი კიოსკი არვის საწინააღმდეგოთ არ არსებობს და მით უფრო სახალხო უნივერსიტეტისა, მხოლოდ რადგან განსაკუთრებით ქართულ საქმეს დასელები გაურბიან და „მათი“ კიოსკი ინტერნაციონალურია, ამიტომ კიოსკი „დიოსკურია“ ძლიერ საჭიროა აქ, მით უფრო მაშინ, როდესაც ყოველგან ყველაფერში რუსული სული ტრიალებს. ავიღოთ ერთი მაგალითი: ამას წინად აქ დავესწარი კოოპერატიულ კრებას. კოოპერატიულ სათავეში ყველა რუსებია გარდა ორიოდესი. ერთმა ქართველმა მუშამ თავისივე ენით, მაგრამ რადგან გამგეობის წევრებმა ვერა გაიგეს რა მუშის სიტყვიდან, მოითხოვეს რუსულათ გადმოეთარგმნა თავისი აზრი. მუშამ განუცხადა მათ: ძლიერ კარგი ბატონებო, მაგრამ რუსული არ მისწავლია და ვერ შევიძლებო, მაგრამ რადგან სხვა თარჯიმანი აღარ აღმოჩნდა ისევ მუშამ იკისრა ეს მისთვის მძიმე მოვალეობა და როგორც იქმნა გაჭირვებით რუსულადაც გამოთქვა თავისი აზრი. რა თქმა უნდა, ქართველი მუშის რუსული რაღას მოეწონებოდათ გამგეობის წევრებს და ჩუმჩუმად დაცინოდენ კიდეც. რაღა ბევრი გავაგრძელო, ბევრს უნდა გამოეთქვა თავისი აზრი, მაგრამ როდესაც თავის ენაზე საშვალება არა აქვს ილაპარაკოს, იძულებულია დამუნჯდეს. ასეთი მაგალითები გახლავთ ხმონებშიც. ეს სხვათა შორის, მე კიოსკზე მოგახსენებდით: ქართულ კიოსკს „დიოსკურიას“ ხშირად არ მოდის ქართული გაზეთები, იმ დროს, როდესაც მეორე კიოსკს მოსდის. ვინ არის ამის მიზეზი და სად იკარგება ვერ გავიგეთ. მაგალითად, ჩვენ კიოსკს არ მიუღია „სამშობლო“, „საქართველო“ და „ჩვენი მეგობარი“ 17 თიბათვის ნუმრები. აგრეთვე ვერ გაგვიგია, რატომ არ გვიგზავნის „სახალხო ფურცელი“ თავის გაზეთს. რამდენჯერ წერილობით თუ დეპეშით მივმართეთ, მაგრამ არ აგზავნიან. ნეტავი რისთვის?!

პრ. ასკანელი.

წერილი თელავიდან

არა მგონია კიდევ იყოს სადმე ისეთი უსუფთაო და უყურადღებოდ მიტოვებული ქალაქი, როგორიც არის თელავი; ორი ბაზარი გვაქვს აქაურებს ამ პატარა ქალაქში და ამის სუფთად შენახვის თავიც არა აქვთ ჩვენ ქალაქის მამებს, ბაზარზე რომ გავლა უნდოდეს კაცს, ან უნდა ყნოსვა დაკარგული ჰქონდეს, ან კიდევ ცხვირში ბამბა გაიკეთოს, თორემ უამისოდ ყოვლად შეუძლებელია იქ გავლა.

აქ ფეხისადგილები ღამით იცლება როგორც ყველგან სხვა ქალაქებში, მის დამცლელებს ბოჭკები არ უვარგათ. ან შეიძლება განგებაც იყოს გაფუჭებული, რომ შორს წაღება აღარ დასჭირდეთ, ეს სავსე ბოჭკები მიაქვთ ბაზარზედ რათა გაიტანონ თელავის განაპირარ დასაცლელად, მაგრამ შორს წაღება აღარ სჭირდებათ, გზებზედვე იცლება და ირწყვება აქაური ქუჩები ამ უწმინდურობით, ამას გარდა, დამითა ღვრიან როცა ფეხის ხმა მისწუდება ხოლმე. აქაური მეთევზენი მყრალ თევზის ნარეცხს წყალს გზებზე ჰღვრიან. ინახავენ აყროლებულ თევზს გლეხების მოსატყუებლად.

თუ როგორმე ბაზარს კაცმა თავი დააღწია და აქაურ რიყეში მივიდა იქ უარესი შემზარავი სურათი გადიშლება თვალწინ. სად კვდარი ძაღლი გდია, სად კატა, სად დამხრჩვალი ქათმები და ათასი სიბინძურე! ნაგავი ხომ გამოულეველია! იქ რიყის პირის მცხოვრებნი და მოვაჭრენი იქა ჰყრიან ნაგავს იმ მოსაზრებით, რომ არა უშავს რა „წყალი მოვარდება და წაიღებსო“! ღვარი კი არ მოდის.

ყველა ამას თავის თვალითა ხედავს თელავის ქალაქის თავი თათუზოვი, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს არაფერს და მისი შემყურე თელავის ბაზარნიკი არტემა სიმონოვიჩ (კოტიტა) ყურს იყრუებს ყველაფერზე, მხოლოდ მარტო იმის საქმე ის არის, რომ წულიანი რძე არავინ შემოიტანოს. ხელში უჭირავს ქალაქის თავისაგან მიცემული გრადუსი, უჩინჯავს ყველას რძეებს და ვაი იმის ბრალი, ვისაც შეამჩნევს რომ წყლიანი რძე მოუტანია! თავზე კაკალს ამტვრევს. აი ამის მეტი იმას არაფერი აგონდება არც უსუფთაობა და არც მოვაჭრეთ ოინბაზობა, რომელზედაც შემდეგ მექნება ლაპარაკი.

მეთვალყურე

დაბა-სოფლები

სოფ. მეჯვრისხევი. ვერ იქმნა და ვერ აუვედით ვაჭრების ხრიკებს. აქაო და მომხმარებელ საზოგადოებას დროებით შაქარი შემოაკლდაო დაჰკრეს ბუკი და ნაღარა და საქონელს საშინლად ფასი აუწიეს. თუ აქნობამდე შაქარს 40 კაპ. ჰყიდიდნენ, ეხლა 50—60 კაპ. დაუწყეს ყიდვა.

საწყალი გლეხი, გაუხდება თუ არა სახლში ვინმე ავად, მირბის კერძო ვაჭრებთან და ძალა-უნებურად აძლევს 50 კ. გირვანქა შაქარში. ერთი სიტყვით, კერძო ვაჭრები სარგებლობენ დროთი და ტყავს აძრობენ ისედაც დაბეჩავებულს გლეხს. უშაქროდ კიდევ გავძლებდით როგორმე, ოღონდ ფართლეულობაზე არ აწეულიყო ფასი. უნდა მოგახსენოთ, რომ ფართლეულით ვაჭრობა სომხების ხელშია. ამისათვის მათ დაიწყეს „ნათლიმამობა“, „ინათესავებენ“ ხალხს, იახლოვებენ იმ ანგარიშით, რომ ხალხმა იმათგან დაიწყოს ვაჭრობა.

დავ. გამრეკელი.

შემოწირულება

რედაქციამ მიიღო შემოწირულება აგარაკის სასარგებლოდ არისტო კოტეშაძისაგან 5 მან., ვალერიან ავალიანისაგან 5 მან., ალექსანდრე წინამძღვარიშვილისაგან 3 მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10 33	საღ.
ბორჯომის	სამგზ.	№ 17,	8.27	დილ.
„	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ	№ 4,	7 „	58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან	№ 3, . 7	„	58 „	საღ.

საგალანტერიო მაღაზია
ძმ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასშ
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა © წიგ. მაღაზია
„განათლება“-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“,“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзѣ.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქათრიოულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში © თვით პრობკებსაც აწერია
„ლაღიძის წყალი“

ქუთაისში
მ. ლაღიძე და ამხ.
საუკეთესო ხილეული წყალი
1900
ქარხანა
თბილისში

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მოწმადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე
სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეწველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძმით, საკუთარი მრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მშობლიური“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.